

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზია

**გაწაფული/გამართული კითხვის კომპეტენციის
გაუმჯობესება წმ. გიორგის სახელობის მესამე კლასში
(საკუთარი პედაგოგიური კვლევის ანგარიში)**

დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
ნონა გამსახურდაშვილი

2019

სარჩევი

შესავალი	4
სიტუაციის ანალიზი და საკვლევი საკითხი	4
საკვლევი საკითხის აქტუალობა.....	4
საკვლევი საკითხი	5
პრობლემის გამოძვევევი სავარაუდო მიზეზები	6
საკვლევი კითხვები.....	6
კვლევის მიზანი	7
კვლევის ამოცანები	8
კვლევის ეტაპები	8
კვლევის ვადები.....	9
ლიტერატურის მიმოხილვა.....	10
კითხვის და წერის სწავლების ძირითადი საკითხები	10
კითხვის ხუთი კომპონენტი	11
ფონოლოგიური უნარ-ჩვევები	11
ანბანის ცოდნა.....	13
ლექსიკური მარაგი.....	15
გაგება-გააზრება.....	17
გაწაფული/გამართული კითხვა	20
გაწაფული კითხვის შემოწმება, პროგრესის მონიტორინგი და შეფასება.....	24
კვლევის მეთოდოლოგია	26
კვლევის მეთოდები.....	26
მონაცემთა ანალიზი.....	27
ძირითადი დასკვნები	39
ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება	39
ინტერვენციების დაგეგმვა.....	39
ინტერვენციების განხორციელება.....	40
ინტერვენციების შედეგები და ანალიზი	48
კვლევის მიგნებები.....	52
რეკომენდაციები.....	52
დასკვნა	53
დანართები.....	54

გამოყენებული ლიტერატურა და მასალები.....	65
პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგების გაზიარების	66
რეფლექსია.....	66

შესავალი

წინამდებარე კვლევის ანგარიში ასახავს ჩემ მიერ განხორციელებული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას, რომელიც ჩავატარე ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიის წმინდა გიორგის სახელობის მესამე კლასში. აღნიშნულ კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლი პირველი კლასიდან. მაქვს 30 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება. ვთვლი, რომ მასწავლებელი მუდმივად უნდა ვითარდებოდეს და იზრდებოდეს პროფესიული თვალსაზრისით. იკვლევდეს, აკვირდებოდეს, აუმჯობესებდეს საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკას კოლეგებთან ურთიერთთანამშრომლობის, საკუთარი და სხვათა გამოცდილების გაზიარების, ცოდნის გაფართოების, სიახლეების პრაქტიკაში დანერგვის და სხვა გზებით. ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის მიზანია მოსწავლეებთან ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მისაღწევი შედეგების გაუმჯობესების გზების მოძიება და გამოყენება იყო შერჩეულ საკვლევ საკითხთან - „გაწაფული/გამართული კითხვის კომპეტენციის გაუმჯობესება წმინდა გიორგის სახელობის მესამე კლასში“ - დაკავშირებით. კვლევის წარმოებაში დამეხმარა საკუთარი პედაგოგიური მრავალწლიანი გამოცდილება, საკვლევ თემასთან და ზოგადად, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის საკითხებთან დაკავშირებული ლიტერატურისა და კოლეგების ნაშრომების გაცნობა, მოსწავლეებთან, მშობლებთან და კოლეგებთან ურთიერთთანამშრომლობა. მაღლობა ყველას თანამშრომლობისათვის.

სიტუაციის ანალიზი და საკვლევი საკითხი

საკვლევი საკითხის აქტუალობა

დაწყებით საფეხურზე მასწავლებელს უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია კითხვის უნარ-ჩვევების განვითარების კუთხით. კითხვის უნარების განვითარებას განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის შემდგომი განვითარებისათვის. კითხვის უნარები გაუადვილებს მას სწავლების მომდევნო საფეხურზე სხვადასხვა დისციპლინების აღქმა-გაგება-გააზრებას. ეს უნარები მნიშვნელოვნად განაპირობებენ პიროვნების აკადემიურ თუ პროფესიულ წარმატებას მთელი კარიერის მანძილზე. კითხვის უნარის არასათანადო ფლობა იწვევს იმას, რომ მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი საგრძნობლად ჩამორჩება სწავლაში დანარჩენებს, უჭირთ საგნების სწავლა.

კითხვის უნარ-ჩვევა ერთ-ერთი საყრდენია, რომელზეც უნდა დაშენდეს არა მარტო ქართულის მიღწევები, არამედ სხვა საგნების შედეგებიც. ხშირად მსმენია უკმაყოფილო გამონათქვამები სხვადასხვა საგნის მასწავლებლებისგან: „ამოცანის პირობას ვერ კითხულობს და როგორ ამოხსნის?“ ან „ტექსტს ძლივს კითხულობს და აზრის გამოტანასაც ვერ ახერხებს“ და სხვა. კითხვის გაუწაფავობის გამო ბავშვებს ბეზრდებათ კითხვა, უჭირთ მასალის გაგება-გააზრება, უქვეითდებათ მოტივაცია და საგაკვეთილო პროცესში ნაკლებად ჩართულები არიან, შედეგად, ეროვნული საწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო მიზნებს ვერ აღწევენ, მოსწავლეს უყალიბდება დაბალი თვითშეფასება, რაც ხელს უშლის მის პიროვნულ ზრდას. კითხვის უნარების განვითარებაზე ზრუნვა, უდავოდ, მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია და ის საქართველოს სკოლებისათვის საერთო პრობლემას წარმოადგენს, თუ გავითვალისწინებთ იმ დაბალ შედეგებს, რომლებიც აჩვენეს 9-10 წლის ქართველმა მოსწავლეებმა 2006 წელს საქართველოში ჩატარებული ტესტირების შედეგად წიგნიერების საერთაშორისო კვლევის ფარგლებში (კუტალაძე ი. - წიგნიერება, PIRLS-2006 საქართველოში, გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2008 წ.)

თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ 2011 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები (PIRLS 2011) 2006 წელთან შედარებით გაუმჯობესებული იყო, რაც დასტურია იმისა, რომ პედაგოგებმა გავითავისეთ აღნიშნული პრობლემის მნიშვნელოვნება და ვცდილობთ მის მოგვარებას. საკვლევი საკითხი მეტად აქტუალური და საყურადღებოა როგორც მოსწავლის სწავლის ხელშეწყობისათვის, ასევე მასწავლებლის პროფესიული ზრდისათვის, კოლეგებს შორის თანამშრომლობითი ატმოსფეროს გაუმჯობესებისათვის.

საკვლევი საკითხი

საკვლევი საკითხი ჩამოვყალიბე შემდეგნაირად: **გაწაფული/გამართული კითხვის კომპეტენციის გაუმჯობესება წმ. გიორგის სახელობის მესამე კლასში.**

კვლევის მთავარი კითხვა კი ასეთია: **როგორ გავაუმჯობესოთ გაწაფული/გამართული კითხვის კომპეტენცია წმინდა გიორგის სახელობის მესამე კლასში?**

კითხვის კომპეტენციიდან გამოვყავით ერთ-ერთი კომპონენტი - კითხვის გაწაფულობა/გამართულობა. გადავწყვიტეთ გვეკვლია, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ მესამე კლასში, კონკრეტულად რა პრობლემებს აწყდებიან მესამე კლასელები კითხვის პროცესში, რა არის ამ პრობლემის მიზეზები, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, რამდენად ეფექტურია ეს ნაბიჯები და რამდენად მიგვიყვანს პრობლემის მოგვარებამდე.

კვლევის დასაწყისში გაჩნდა გარკვეული ჰიპოთეზები, რომლებიც დადასტურდა კვლევის მიმდინარეობის პროცესში და მისი დასრულების შემდგომაც, კერძოდ:

- გაწაფულ კითხვაში დაბალი შედეგები განაპირობებს წაკითხული ტექსტის აღქმის დაბალ მაჩვენებლებს.
- ის მოსწავლეები, რომლებსაც აქვთ შედარებით მწირი ლექსიკური მარაგი, ჩამორჩებიან კითხვის უნარების განვითარების მხრივ.
- გაწაფული კითხვის უნარების გაუმჯობესებაზე მიზნობრივი მუშაობა გამოიწვევს მოსწავლეებში კითხვის კომპეტენციის გაუმჯობესებას.

პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები

საკუთარი დაკვირვება-გამოცდილებიდან გამომდინარე, ასევე კოლეგებთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან მსჯელობის გზით გამოიკვეთა პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები:

- ✓ აქვთ დაბალი მოტივაცია;
- ✓ არ კითხულობენ ხშირად;
- ✓ ბეზრდებათ კითხვა უინტერესო მასალის ან სირთულის გამო;
- ✓ ვერ იგებენ ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობას და კარგავენ კითხვის სურვილს;
- ✓ მშობლები ნაკლებად არიან ჩართულები შვილებთან ერთად კითხვის პროცესში ურთიერთთანამშრომლობის მიზნით;
- ✓ არ ვეხმარებით ასაკისათვის შესაფერისი ლიტერატურის შერჩევაში ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად;
- ✓ კითხვის უნარების განვითარებისათვის არ ვიჩენთ სათანადო ძალისხმევას.

საკვლევი კითხვები

იმის დასადგენად, რომ გამომევილინა მესამე კლასელებთან კითხვის პროცესის სირთულები, ჩავუტარე პრეტესტი (ერთწუთიანი ინდივიდუალური კითხვა. დანართი 1). სკრინინგმა გამოავლინა რისკის ჯგუფის მოსწავლეები,

რომელთა კითხვის შედეგები ჩამორჩებოდა ესგ-ით გათვალისწინებული ქართული ენისა და ლიტერატურის კითხვის მიმართულების მესამე კლასის სტანდარტს. აქედან გამომდინარე გამიჩნდა კითხვები:

- რა შეიძლება ყოფილიყო რისკის ჯგუფის მოსწავლეების კითხვაში ჩამორჩენის მიზეზები?
- გაკვეთილის დაგეგმვის დროს ვითვალისწინებდი თუ არა მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და მქონდა თუ არა გათვლილი შესაბამისი აქტივობები?
- რა გზებსა და საშუალებებს უნდა მივმართო არსებული პრობლემის მოსაგვარებლად, რომ მივაღწიო მესამე კლასელებთან არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას გაწაფული/გამართული კითხვის უნარების განვითარების მიმართულებით?

კვლევის მიზანი

სწავლების პროცესში ნებისმიერი სასწავლო მიზანი უნდა გამომდინარეობდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მისაღწევი შედეგებიდან და ინდიკატორებიდან. ესგ-ს მიხედვით საწყის ეტაპზე კითხვის უპირველესი მიზანია მოსწავლეებში წერილობითი ტექსტის გაშიფვრის უნარის გამომუშავება (დეკოდირება), რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს განვიტარონ გაწაფული კითხვის უნარ-ჩვევები, თუმცა, იმავდროულად, მუშაობა უნდა წარიმართოს წაკითხულის გაგება-გააზრების უნარის განვითარების მიმართულებითაც. მოსწავლეებს უნდა ესმოდეთ ის, რასაც კითხულობენ. აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ კითხვის პროცესის სამივე ეტაპზე: კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროს და კითხვის შემდეგ. კითხვის ტექნიკის თანდათანობით სრულყოფა საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, გახდნენ გაწაფული მკითხველები, გაიგონ და გაიაზრონ წაკითხული. ესგ-ის მიხედვით გაწაფულ კითხვასთან დაკავშირებული მისაღწევი შედეგები და ინდიკატორები შემდეგნაირად არის ფორმულირებული:

მიმართულება: კითხვა

სტანდარტის შედეგი:

ქართ.დაწყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.

შეფასების ინდიკატორები:

მოსწავლე:

- თავისუფლად კითხულობს ნაცნობ და უცნობ სიტყვებს, ცდილობს დაიცვას სათანადო ტემპი;

- ხმამაღლა, თავისუფლად კითხულობს მასწავლებლის მიერ მითითებულ ეპიზოდს, მცირე ზომის ტექსტებს;
- ხმამაღლა კითხვისას იცავს პაუზას სასვენ ნიშნებთან.

კითხვა გამართულია, როდესაც ის მიმდინარეობს უშეცდომოდ, გაბმულად (წყვეტების გარეშე), ზომიერი ტემპით, გამომსახველობით, მკითხველი ჩერდება სასვენ ნიშნებთან, კითხულობს ფრაზებად, ერთიანი აზრის გამოკვეთით კითხულობს წინადადებებს, კითხვისას იყენებს ინტონაციას.

საკვლევი კითხვებისა და პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზების შესაბამისად დავისახე კვლევის მიზანი:

განვსაზღვრო მესამე კლასელთა კითხვაში გაწაფულობის კომპონენტში პრობლემების მიზეზები და დავსახო მათი მოგვარების გზები.

კვლევის ამოცანები

- დავაკვირდე თითოეული მოსწავლის კითხვის ხარისხს ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის მიზნით;
- გავეცნო გაწაფული/გამართული კითხვის გასაუმჯობესებელ ეფექტურ სტრატეგიებს და მოვარგო ისინი მოსწავლეთა საჭიროებებს;
- გავითვალისწინო მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და დავეხმარო მათ გამართული კითხვის უნარების გაუმჯობესებაში კითხვაში გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით;
- ეფექტურად დავგეგმო შემდგომი სასწავლო პროცესი და გავაუმჯობესო ჩემი პედაგოგიური პრაქტიკა;
- ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები გავუზიარო კოლეგებს.

კვლევის ეტაპები

ჩემი პრაქტიკის კვლევის ფარგლებში დავგეგმე და განვახორციელე შემდეგი ეტაპები:

- გამოვკვეთე გამოსაკვლევი პრობლემა;
- დავადგინე და შევისწავლე პრობლემის გამომწვევი მიზეზები;
- გავითვალისწინე კოლეგების გამოცდილებები;
- დავამუშავე შესაბამისი ლიტერატურა;
- დავსახე პრობლემის მოგვარების გზები;
- დავგეგმე გაკვეთილები საინტერესო, სახალისო, მრავალფეროვანი ეფექტური აქტივობებით;
- გავაანალიზე კვლევის ფარგლებში მიღწეული შედეგები;

- გავუზიარე კოლეგებს კვლევის შედეგები.

კვლევის ვადები

საქმიანობები	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
შეხვედრა მესამეკლასელებთან	✓	✓	✓	✓	✓
საუბარი გაწაფული კითხვის მნიშვნელოვნებაზე	✓	✓			
საკვლევი თემის განსაზღვრა და კვლევის მიზნის ჩამოყალიბება	✓				
შეხვედრა პედაგოგებთან	✓	✓			
კვლევის პროცესის დოკუმენტირება-კვლევის დღიურის წარმოება	✓	✓	✓	✓	✓
მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით ლიტერატურის მოძიება-გაცნობა	✓	✓			
კვლევის მეთოდების შერჩევა		✓			
მასწავლებლებისათვის წერილობითი და ინტერვიუს კითხვარის შედგენა		✓			
მოსწავლეებისათვის კითხვარის შედგენა		✓			
მშობლებისათვის კითხვარის შედგენა			✓		
მშობლებთან შეხვედრა	✓	✓		✓	
მონაცემთა შეგროვება		✓		✓	
მონაცემთა ანალიზი		✓		✓	
ინტერვენციების შემუშავება		✓			
ინტერვენციის განხორციელება		✓	✓	✓	
ინტერვენციის შედეგების ანალიზი				✓	
პრეზენტაცია სკოლასთან და შედეგების გაცნობა					✓

ლიტერატურის მიმოხილვა

ლიტერატურის მოძიებისა და განხილვის ეტაპზე პირველ რიგში დავინტერესდი იმ ლიტერატურით, რომელიც გამარკვევდა, თუ როგორ მეწარმოებინა პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, რა ეტაპები უნდა განმეხორციელებინა, რომელი საკითხებისთვის მიმეცია ყურადღება. კიდევ ერთხელ გადავხედე სქემის გზამკვლევის იმ ნაწილს, სადაც პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის წარმოების შესახებ არის საუბარი (მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი, ნაწილი მეორე, გვ.61-88. [f](#)), ასევე გავეცანი ვიდეორესურსებს, რომლებმაც ამომწურავი პასუხი გასცეს ჩემს კითხვებს, თუ როგორ უნდა განმეხორციელებინა პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, რას ითვალისწინებდა კვლევის პირველი ნაბიჯები, რა ეტაპები უნდა გამეგლო კვლევის ფარგლებში, რა უნდა გამეთვალისწინებინა საკვლევი თემის შერჩევისას, როგორ უნდა მეწარმოებინა კვლევის დღიური, რომელი მეთოდები შეიძლებოდა გამომეყენებინა კვლევის მსვლელობისას (როგორ წარვმართოთ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, ეკა ცხადაია, 7 აგვისტო 2014 წ, ნაწილი 1, ვიდეორესურსი); (როგორ წარვმართოთ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, ეკა ცხადაია, 10 აგვისტო, 2014წ, ნაწილი 2, ვიდეორესურსი,).

იმისათვის, რომ მეწარმოებინა კვლევა შერჩეულ თემაზე, ძირითადად დავეყრდენი და გამოვიყენე ჩემი ოცდაათწლიანი პედაგოგიური პრაქტიკა და G-pried-ის სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებული- კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე - I-VI კლასები და მიმოვიხილე არჩეული თემისათვის საჭირო და საინტერესო საკითხები, რომლებიც, ჩემი აზრით, დამეხმარებოდა გაწაფული კითხვის უნარის გაუმჯობესებაში მესამე კლასელებთან;

კითხვის და წერის სწავლების ძირითადი საკითხები

(სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებული - კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე, I-VI კლასები, 2015 წ. (G-pried) გვ. 8,9).

წიგნიერება, ვიწრო გაგებით, ნიშნავს კითხვისა და წერის ცოდნას.

რატომ უნდა ვიზრუნოთ კითხვისა და წერის ფუნდამენტური უნარების სწავლება-სწავლის გაუმჯობესებაზე დაწყებით კლასებში?

- უკეთესი მიღწევებით გამოირჩევიან ის მოსწავლეები/სტუდენტები, რომელთაც სკოლამდელ და დაწყებით საფეხურებზე კარგად ისწავლეს წერა და კითხვა.

- წიგნიერი უნარ-ჩვევების მქონე მოსწავლეები სწრაფად და ხარისხიანად სწავლობენ სხვა საგნებსაც და გამოირჩევიან პოზიტიური სოციალური ურთიერთობების და თანამშრომლობის უნარებით.
- მოსწავლეებს, რომელთაც მეოთხე კლასამდე სათანადოდ არ განუვითარდათ კითხვისა და წერის უნარ-ჩვევები, უჭირთ ამ უნარების გამომუშავება მომდევნო კლასებში.
- ქართველი მეოთხე კლასის მოსწავლეები კითხვის უნარის საერთაშორისო შეფასების პროგრამის მონაცემების მიხედვით სათანადო შედეგებს ვერ აღწევნ ტექსტების გაგება-გააზრებაში.
- კითხვა და წერა ეროვნული საწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის ძირითადი მიმართულებებია.

კითხვის ხუთი კომპონენტი

კითხვის ძირითადი კომპონენტებია: ფონოლოგიური უნარ-ჩვევები, ანბანის ცოდნა, ლექსიკური მარაგი, გაწაფული/გამართული კითხვა, გაგება-გააზრება.

კითხვის მასწავლებელს უნდა შეეძლოს თითოეული კომპონენტის დახასიათება როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვა კომპონენტებთან ურთიერთკავშირში, ასევე უნდა შეეძლოს იმის აღწერა, თუ რა ბარიერებს აწყდება მოსწავლე კითხვის შესწავლისას და რა შესაფერისი მეთოდები და რესურსები უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა სწავლებისათვის მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

ფონოლოგიური უნარ-ჩვევები

(სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებული - კითხვისა და წერისწავლება დაწყებით საფეხურზე, I-VI კლასები, 2015 წ. (G-pried) გვ. 11, 33.).

ეს უნარები ძირითადად მოიცავს ბგერებით მანიპულირებას, ფოკუსირებულია სიტყვის შემადგენელ ბგერებსა (ფონემები) და მარცვლებზე. ამ უნარის მქონე ბავშვმა უნდა შეძლოს: სიტყვის პირველი და ბოლო ბგერების იდენტიფიცირება, მსგავსი ბგერების ერთმანეთისგან გარჩევა, ბგერების ერთმანეთზე გადაბმა, სიტყვის ბგერებად ან მარცვლებად დანაწევრება და სხვა. ფონოლოგიური უნარები სმენითია, სამეტყველო ბგერების გამოყენებასთანაა დაკავშირებული და არ უკავშირდება დაწერილ ტექსტთან ურთიერთობას, ანბანის ცოდნას. ბავშვები, რომლებსაც აქვთ ჩამოყალიბებული ფონოლოგიური უნარ-ჩვევები, ადვილად ეუფლებიან ასო-ბგერებს. კითხვაში პრობლემების მქონე ბავშვებს შორის (რომლებიც, შესაძლებელია, მეორე, მესამე, მეოთხე კლასელებიც იყვნენ და მათთან მუშაობა გაწაფული კითხვის უნარ-ჩვევების დაუფლებისათვის, ჩემი აზრით, მასწავლებელმა ფონოლოგიური

სავარჯიშოებით უნდა დაიწყოს) ხშირად გვხვდებიან ფონოლოგიურ უნარ-ჩვევებში გაუწაფავი ბავშვები. ფონოლოგიურ სავარჯიშოებს მიმართავენ სკოლამდელ და წინასაანბანო პერიოდში, რათა მოსწავლე მოემზადოს ანბანური პრინციპის ასათვისებლად. აქვე მინდა ჩავურთო ჩემი საყვარელი მეთოდის შესახებ, რომელსაც წარმატებით ვიყენებ წინასაანბანო პერიოდიდან, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ფონოლოგიური სავარჯიშოების შესრულებისას ერთმანეთის მიმდევრობით, ერთდროულად ვიყენებ როგორც სმენითი, ისე მხედველობითი აღქმის უნარებს. ამისთვის მჭირდება მთელ კლასთან მუშაობის ფორმა, დაფა და ცარცი. მაგ. როდესაც ბავშვი სმენით აღქმას იყენებს სიტყვის/წინადადების დაშლა-გამთლიანებისათვის, შემდეგ მასწავლებელი იგივე პროცესებს ბავშვების დახმარებით ასრულებს დაფაზე წერილობით. მაგ. -ბავშვებო, რომელი ასოები მჭირდება „მამა“-ს დასაწერად?-(მ, ა, მ, ა) - რომელი ასო დავწერო პირველად?-(მ). ხომ არ იცით, რომელი უჯრიდან დავიწყო „მ“-ს წერა, ზედა, ქვედა თუ შუა უჯრიდან? (ოთხხაზიან ბადეს უკვე ცნობენ). - მომდევნო ასო რომელია? და ა. შ. შემდეგ მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით (თითის გაყოლებით) დაწერილ სიტყვაში თვალსაჩინოდ გამოყოფენ მარცვლებს, მასწავლებელი მონიშნავს მათ ცარცით, თვალსაჩინოდ შლიან მარცვლებს ბგერებად, შემდეგ ამთლიანებენ და ა.შ. ასეთივე პრინციპით მუშავდება წინადადებაც. ბავშვები ეუფლებიან ფონოლოგიურ უნარებს სმენით და მხედველობით, ამ დროს ასო-ბგერები და გარკვეულ სიტყვათა როდენობა მათთვის ცნობადი ხდება წინასაანბანო პერიოდშივე, რაც ხელს უწყობს ანბანური პრინციპის გაგებას, სიტყვის დეკოდირების უნარის და საერთოდ, კითხვის ტექნიკის განვითარებას (საკუთარი მოსაზრება). ჩემი პედაგოგიური პრაქტიკიდან გამომდინარე, ამჟამინდელ პირველ კლასში გაცილებით უკეთეს შედეგს მივაღწიე (გაწაფული კითხვის კომპეტენციის სხვადასხვა ასპექტის გაუმჯობესების კუთხით) ზემოთ ხსენებული მიდგომით(იგივე ენობრივი პრაქტიკის მეთოდი, რომელსაც ვიყენებ ხან მცირედ მოდიფიცირებულს, ხან კი იმ სახით, როგორც არის ამ მეთოდის გამოყენების პრინციპი), ვიდრე მივაღწიე ჩემი კვლევის სამიზნე ჯგუფთან (მესამე კლასთან), როდესაც ისინი პირველ კლასში იყვნენ.

ფონოლოგიური უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასება მოიცავს სკრინინგს, დიაგნოსტიკურ შეფასებას და პროგრესის მონიტორინგს. სკრინინგისა და დიაგნოსტიკური შეფასებისათვის ეფექტურია სიტყვის ბგერებად დანაწევრების ტესტი. სასწავლო წლის მანძილზე პროგრესის მონიტორინგისათვის კარგია ფონოლოგიური უნარ-ჩვევების შეფასების სქემის/რუბრიკის გამოყენება. (სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების

კრებული - კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე, I-VI კლასები, 2015 წ. (G-pried) გვ. 63, 64).

ანბანის ცოდნა

(სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებული - კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე, I-VI კლასები, 2015 წ. (G-pried) გვ. 11, 69, 70).

ეს არის დაწერილი ასოს დაკავშირება მის შესაბამის ბგერასთან, ანუ ანბანური პრინციპის, ასოებსა და ბგერებს შორის მიმართებების გაცნობიერება. ამ კომპონენტის ფლობის გარეშე შეუძლებელია სიტყვების დეკოდირება და კითხვის ტექნიკის განვითარება. სიტყვის დეკოდირებას ზოგჯერ სიტყვის ცნობას ან იდენტიფიცირებას უწოდებენ. სიტყვების სწორად და სწრაფად დეკოდირება კითხვის სწავლება-სწავლის საკვანძო მიზანია.

სიტყვების დეკოდირების უნარის განვითარების ძირითადი საფეხურებია:

ლოგოგრაფიული კითხვა	სკოლამდელი ასაკი და პირველი კლასი	ზოგიერთ ცნობად სიტყვას აღიქვამს მისი ვიზუალური ხატისა და გარეგნული მახასიათებლების მიხედვით, ასოების დაშლის გარეშე. მაგ., „პური“, „რძე“, „მარკეტი“.
გარდამავალი ანბანური კითხვა	პირველი კლასის დასაწყისი	ვერ ცნობს ყველა ასოს, მაგრამ ცდილობს სიტყვების წაკითხვას ცალკეული ასოების, მაგ. პირველი ასოს მეშვეობით, მაგრამ ხშირად წარმოთქვამს ამავე ასოზე დაწყებულ სხვა სიტყვას.
ანბანური კითხვა	პირველი კლასის შუა პერიოდიდან მეორე კლასის დასაწყისამდე.	სულ უფრო მეტ ასოს ცნობს, კითხულობს ასო-ასო ან მარცვალ-მარცვალ, თანდათან ეზრდება ცნობადი სიტყვების მარაგი(დეკოდირების გარეშე სიტყვების სწრაფად და უშეცდომოდ ამოცნობა).
ორთოგრაფიული კითხვა	პირველი კლასის მეორე ნახევრიდან მესამე კლასამდე	სიტყვას აღიქვამს არა ასოების თანმიმდევრობით, არამედ აღიქვამს სიტყვის ნაწილებს, სიტყვის სწორად წაკითხვისათვის იყენებს წინადადების კონტექსტს.სწრაფად იზრდება ცნობადი სიტყვების მარაგი.

სიტყვათწარმოებითი კითხვა	მეოთხე ან მეხუთე კლასიდან	იცის, რომ ბევრი შედგენილი სიტყვა მისთვის ნაცნობ ნაწილებს შეიცავს. კითხვისას ერთდროულად იყენებს სიტყვის ცნობისა და მისი მნიშვნელობის წვდომის სტრატეგიებს.
--------------------------	---------------------------	--

გაწაფული კითხვის თვალსაჩინო მახასიათებელს სწორედ სიტყვების სწრაფად, უშეცდომოდ, დანაწევრების გარეშე წაკითხვა წარმოადგენს. მოსწავლემ რომ ფრუსტრაციის გარეშე დასძლიოს კითხვაში გაწაფვის რთული საფეხური, ამ სფეროში დაგროვილი გამოცდილება რამდენიმე ფუნდამენტურ მიდგომასა და გამოცდილებას გვთავაზობს:

- გავუვარჯიშოთ ბავშვებს ფონოლოგიური უნარ-ჩვევები;
- დროულად ვასწავლოთ ასო-ბგერები და ანბანური პრინციპის გამოყენება;
- რაც შეიძლება ადრე დავაწყებინოთ ბავშვებს დასურათებული საბავშვო წიგნების კითხვა ერთობლივი კითხვის მეთოდით;
- საჩვენებელი/სამოდელი კითხვისა და მართული პრაქტიკისათვის შევარჩიოთ ადეკვატური სირთულის ტექსტები;
- გამოვიყენოთ ენობრივი პრაქტიკის მეთოდი და ერთობლივი წერა;
- ვასწავლოთ მოსწავლეებს ცნობადი (სიტყვის ცნობა შეყოვნებისა და ამოკითხვის გარეშე) და ხშირი (ხშირად გამოყენებული) სიტყვების ავტომატურად წაკითხვა.

ვფიქრობ, ჩამოთვლილი მიდგომები ნამდვილად სასარგებლო და მისაღებია, რათა მყარი საფუძველი ჩაეყაროს გაწაფული მკითხველის ჩამოყალიბებას.

ანბანის ცოდნის შემოწმებისათვის ვიყენებთ სკრინინგს, დიაგნოსტიკურ შეფასებასა და პროგრესის მონიტორინგს. მოსწავლეთა გამოცდილებისა და მზაობის შემოწმების შედეგად პირველი კლასის დასაწყისშივე შეგვიძლია აღმოვაჩინოთ, თუ რა უნარებს ფლობენ ისინი. ანბანის ცოდნის შესამოწმებლად ძირითადად ვიყენებთ ასო-ბგერების ცალ-ცალკე ცნობის ტესტს. ხოლო დეკოდირების (ანბანური პრინციპის გამოყენების) საწყისი უნარების შესამოწმებლად - ცალკეული სიტყვების წაკითხვის ტესტს. ამ ორი ტესტის რამდენჯერმე ჩატარება სასწავლო წლის მანძილზე დაკვირვებასა და განმავითარებელ შეფასებასთან ერთად საკმარის ინფორმაციას გვაწვდის მოსწავლეთა მიღწევებისა და საჭიროებების შესახებ. (სასწავლო-

მეთოდოლოგიური რესურსების კრებული - კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე, I-VI კლასები, 2015 წ. (G-pried) გვ. 123,125,126).

ლექსიკური მარაგი

(სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებული - კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე, I-VI კლასები, 2015 წ. (G-pried) გვ.11, 167,168,169).

ლექსიკა არის ენაში არსებული სიტყვების მარაგი, რომლის საშუალებითაც ჩვენ ვამყარებთ ზეპირ და წერით კომუნიკაციას. ლექსიკური მარაგის გამდიდრება გულისხმობს სიტყვების სიმრავლის მუდმივ გაფართოებას, ყოველდღიურად ახალი სიტყვების მიმატებას, სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირების უნარს, იმის გაგება-გააზრებას, თუ რას ნიშნავს ესა თუ ის სიტყვა განსხვავებულ კონტექსტში. ადამიანი ვერ გამოიტანს აზრს წაკითხულიდან, თუ ტექსტის სიტყვათა უმრავლესობის მნიშვნელობა არ ესმის. სასწავლო დონის ტექსტებში ნაცნობ სიტყვათა რაოდენობა, საშუალოდ, უნდა მერყეობდეს 90-დან 95%-მდე. ლექსიკურ მარაგთან დაკავშირებული პრობლემები აფერხებს კითხვის უნარს. ხშირად ხდება, რომ თავიდან მოსწავლის კითხვის უნარი სწრაფად ვითარდება, მაგრამ მესამე-მეოთხე კლასში ამ პროცესს სწორედ ლექსიკურ მარაგთან დაკავშირებული პრობლემები აფერხებს. კარგი მკითხველები გამოირჩევიან სიტყვების ცოდნით და შეუძლიათ დიდი ძალისხმევის გარეშე გამოიყენონ ისინი საჭიროების მიხედვით. ბავშვები, რომლებსაც სკოლაში შესვლამდე მდიდარი ლექსიკური მარაგი აქვთ, სწავლაში უფრო იოლად აღწევენ წარმატებებს. ლექსიკის გამდიდრებაზე ორიენტირებულ აქტივობებს, რომლებიც სხვადასხვა სავარჯიშოებსა და სიტყვების მრავალფეროვან კონტექსტში გამოყენებას გულისხმობს, გაცილებით უკეთესი შედეგი აქვს, ვიდრე თვით ამ სიტყვების ან მათი განმარტებების დაზეპირებას. სიტყვის ცოდნა ნიშნავს, რომ ბავშვს შეუძლია მისი განმარტება (თავისი სიტყვებით - სიტყვის დეფინიციური ცოდნა) და გამოყენება სხვადასხვა კონტექსტში (სიტყვის სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება - სიტყვის კონსტექსტუალური ცოდნა). მაგ. შეიძლება ბავშვმა განმარტოს ესა თუ ის სიტყვა თავისი სიტყვებით, მაგრამ ვერ შეძლოს მისი ადეკვატურად გამოყენება წინადადებაში ან ვერ შეადგინოს წინადადება ამ სიტყვის გამოყენებით, ან პირიქით.

სიტყვების სწავლებისა და ათვისების ორი გზა არსებობს: პირდაპირი (ექსპლიციტური) და თანმდევი, არაპირდაპირი(სიტყვების ათვისება დამოუკიდებლად მრავალფეროვანი წყაროებიდან: ყოველდღიური საუბრები, კლასგარეშე ლიტერატურა, ჟურნალები, ტელევიზია, ინტერნეტი და სხვა). ცალკეული სიტყვის პირდაპირი სწავლების ყველაზე ეფექტური საშუალებებია:

- სიტყვების წინასწარ განხილვა ტექსტის წაკითხვამდე;
- პირდაპირი განმარტება;
- სიტყვის ლექსიკონში მოძებნა;
- გათვალსაზიროება(სურათით, ნახატით, სქემატური მონახაზით, რეალური საგნებით, მოქმედებით, ჟესტ-მიმიკით;
- მორფოლოგიური ანალიზი სიტყვათწარმოების წესების მიხედვით; სიტყვის დაშლა შემადგენელ ნაწილებად;
- მნიშვნელობის ამოცნობა კონტექსტის დახმარებით (როდესაც მასწავლებელი აკეთებს მოდელირებას და ავარჯიშებს მოსწავლეებს ამ ტექნიკის გამოყენებაში);
- სინონიმებისა და ანტონიმების მოშველიება;
- დამხმარე გრაფიკული სქემების გამოყენება (მაგ.: „სიტყვის პირამიდა“, „ასოციაციური რუკა“, „სიტყვის/ცნების რუკა“, „ფრეიერის სქემა“ და სხვა).

არსებობს ორი ზოგადი მიდგომა, თუ როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს ლექსიკური მარაგის მუდმივად გამდიდრებაში: 1. შევასწავლოთ მათ ის სიტყვები, რომლებიც დასჭირდებათ ტექსტების გააზრებისათვის (ექსპლიციტური სწავლება); 2. მივცეთ საშუალება, უშუალოდ კითხვის პროცესში აითვისონ ახალი სიტყვები (იმპლიციტური სწავლება). სიტყვების ექსპლიციტურად სწავლება კარგ შედეგს იძლევა, მაგრამ ამ სწავლების მიხედვით ასათვისებელი სიტყვების რაოდენობა საკმარისი არ არის, რადგან ნაკლებია დაწყებით საფეხურზე ასათვისებელი სიტყვების საჭირო რაოდენობაზე. ამიტომ დასაუფლებელი სიტყვები ექსპლიციტური სწავლებისათვის მიზანმიმართულად უნდა შეირჩეს, კერძოდ, მასწავლებლები წინასწარ გამოარჩევენ და განსაზღვრავენ უშუალოდ სასწავლო პროცესში დასამუშავებელ იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც, სავარაუდოდ, უცხო ან ბუნდოვანი იქნება მოცემული კლასისათვის. სწავლებისათვის სიტყვების შერჩევისას, სასურველია გავითვალისწინოთ, რამდენად საჭირო და სასარგებლოა ბავშვისათვის შერჩეული სიტყვის სწავლება, კერძოდ: თუ შესაძლებელია სიტყვა აიხსნას ბავშვისათვის გასაგებად(მისთვის ნაცნობი სიტყვებით) და კიდევ, თუ ხშირად გამოადგება ეს სიტყვა მოსწავლეს სხვადასხვა საკითხზე მსჯელობის/წერის დროს, მაშინ ამ სიტყვის სწავლება საჭირო და სასარგებლოა.

არსებობს ლექსიკური მარაგის (სიტყვების ცოდნის) შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები. იმის მიხედვით, შეფასება თუ რა სახის ცოდნის შემოწმებას ითვალისწინებს, მოსწავლეს შეიძლება მოეთხოვებოდეს:

- შეუსაბამოს სიტყვა მის გამოსახულებას;

- ამოარჩიოს სიტყვების ჩამონათვალში მოცემული განმარტების შესაბამისი სიტყვა;
- დააჯგუფოს სიტყვები კატეგორიების შესაბამისად;
- ამოიცნოს სიტყვა, რომელიც არ მიეკუთვნება მოცემულ სიტყვათა ჯგუფს;
- გამოიყენოს კონტექსტი, რათა ამოიცნოს სიტყვის მნიშვნელობა.
- სწორად შეარჩიოს სიტყვის სინონიმი ან ანტონიმი მოცემული ვარიანტებიდან;
- სწორად ჩასვას წინადადებაში/ტექსტში გამოტოვებული სიტყვები;
- მოძებნოს სიტყვის განმარტება ლექსიკონში და სხვა.

ლექსიკური მარაგის შესამოწმებელი დავალებები და ტესტები ორ ძირითად კატეგორიად იყოფა: 1) ცალკე აღებული სიტყვის მნიშვნელობის დადგენა; 2) კონტექსტში მოცემული სიტყვის მნიშვნელობის დადგენა. გაგება-გააზრებაზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესში უპირატესობა მეორე კატეგორიას ენიჭება. (სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებული - კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე, I-VI კლასები, 2015 წ. (G-pried) გვ. 199).

გაგება-გააზრება

(სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებული - კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე, I-VI კლასები, 2015 წ. G-pried) გვ. 12, 211, 215, 222, 223, 279).

წაკითხულის გაგება-გააზრება, ძირითადად კითხვის ძირითადი დანიშნულებაა. იგი წაკითხულიდან აზრის გამოტანაა. იგი შეგნებული, აქტიური, ინტერაქტიური პროცესია. როცა გაგება ეფექტურია, მკითხველს ღრმად ესმის ავტორის მიერ გადმოცემული სათქმელი, მას შეუძლია წაკითხულის გონებაში წარმოდგენა, ვარაუდების ჩამოყალიბება, დასკვნების გამოტანა, ინფორმაციის შეჯამება-შეფასება, შეკითხვების დასმა, შედარება, კავშირის გაბმა, წაკითხული იდეების სხვებისთვის გაზიარება და სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება. ტექსტის სიღრმისეულ გააზრებაზე ორიენტირებული მკითხველისათვის დამახასიათებელია ე.წ. მეტაგოგნიცია (ფიქრი საკუთარი აზროვნების შესახებ), რაც გულისხმობს გაგების თვითმონიტორინგს. როცა გაგება ფერხდება, კარგი მკითხველები გააზრების სხვა სტრატეგიებს მოიშველიებენ ხოლმე. კითხვა გააზრების გარეშე კითხვა არ არის. ბავშვს შეუძლია სწორად წაკითხოს სიტყვები, მაგრამ ვერ გითხრას, რა წაკითხა. ამ მოვლენას შეიძლება რამდენიმე მიზეზი ჰქონდეს:

1. გაუწავავი კითხვა - მოსწავლე მთელ ენერგიას სიტყვების ამოცნობაზე და „გაბგერებაზე“ ხარჯავს და მათი მნიშვნელობა „ეკარგება“;
2. მოტივაციის არქონა -მოსწავლე ვერ ახერხებს ტექსტზე კონცენტრირებას, იმდენად არ სჭირდება და არ აინტერესებს მისი შინაარსი;
3. შეუსაბამობა მოსწავლის კითხვის დონესა და ტექსტის სირთულეს შორის - ტექსტის სირთულის გამო ვერ ახერხებს აზრების გამოტანასა და ერთმანეთზე გადაბმას.

წაკითხვისა და გააზრების პროცესები ერთმანეთზე მჭიდროდაა გადაჯაჭვული, რასაც გაწაფული მკითხველები ვერ გრძნობენ და კითხვა ერთიანი, განუყოფელი პროცესი ჰგონიათ. პატარა მკითხველების ძალისხმევა კი ძირითადად დეკოდირების პროცესზეა მიმართული, ამიტომ სანამ სიტყვების ამოცნობაში გაიწაფებიან, გააზრებისა და ინტერპრეტაციისათვის ნაკლები ენერგია რჩებათ. როცა ბავშვი კითხულობს, მის გონებაში მუშაობს რამდენიმე „პროცესორი“:

- ანბანური/ორთოგრაფიული - გაწაფული მკითხველი ავტომატურად ცნობს ყოველ სიტყვას და მის შემადგენელ ყველა ასოს;
- ფონოლოგიური პროცესორი - მთლიან სიტყვებს გონებაში ახმოვანებს;
- სემანტიკური პროცესორი - თითოეულ დეკოდირებულ სიტყვას მნიშვნელობას ანიჭებს;
- სინტაქსური (გრამატიკული) პროცესორი - აღქმულ სიტყვებს ერთმანეთთან აერთიანებს წინასწარ განსაზღვრული გრამატიკული წესების მიხედვით;
- კონტექსტური პროცესორი - ისე გაიაზრებს სიტყვებს და ფრაზებს, რომ აყალიბებს ვარაუდებს მომდევნო სიტყვებისა და აზრების შინაარსის შესახებ.

გაწაფული მკითხველის გონებაში აღნიშნული „პროცესორები“ იმდენად შეთანხმებულად, სწრაფად და ხარისხიანად მუშაობენ, რომ გააზრებისათვის საუკეთესო წინაპირობები იქმნება. წინააღმდეგ შემთხვევაში სააზროვნო ენერგია ასო-ბგერებისა და სიტყვების დამუშავებაზე იხარჯება და შინაარსის წვდომისათვის საჭირო ენერგია სხვა პროცესორებზე გადადის.

გაგება-გააზრებაზე ოთხი ფაქტორი მოქმედებს: 1. მკითხველი; 2. ტექსტი; 3. მიზანი/დავალება; 4. სიტუაციური კონტექსტი/გარემო.

კარგი მკითხველის უნარ-ჩვევები და სტრატეგიები

- **მონიშვნები და ჩანაწერები.** კარგი მკითხველი კითხვის დროს აკეთებს აღნიშვნებს საინტერესო, გაუგებარ, საკვანძო სიტყვებზე, წინადადებებზე, ფრაზებზე.
- **კავშირები ტექსტში.** აცნობიერებს, რა კავშირია ტექსტსა და საკუთარ გამოცდილებასთან, სხვა ტექსტებთან, გარესამყაროსთან.
- **ვიზუალიზაცია.** კითხვისას ცდილობს გონებაში წარმოიდგინოს პერსონაჟები, მოვლენები, საგნები.
- **შეკითხვების დასმა.** სვამს შეკითხვებს საკუთარ თავთან და ავტორთან წაკითხვამდე, წაკითხვის დროს და წაკითხვის შემდეგ.
- **ხელმეორედ წაკითხვა.** დეტალების დასაზუსტებლად, წამოჭრილ შეკითხვებზე პასუხის მოსაძიებლად ხელახლა უბრუნდება ტექსტს.
- **ტექსტის ნაწილებად დაყოფა.** აკეთებს პაუზებს ტექსტის ნაწილებთან, დაფიქრდება წაკითხულ ნაწილზე და შემდეგ აგრძელებს კითხვას.
- **ადეკვატური ტექსტების შერჩევა.** წასაკითხი წიგნის შერჩევისას ითვალისწინებს, რომ წიგნი არ უნდა იყოს ზედმეტად რთული ან ზედმეტად მარტივი.
- **კითხვა მეწყვილესთან ერთად.** კითხულობს მეწყვილესთან ერთად აბზაც-აბზაც. ყოველი აბზაცის წაკითხვის შემდეგ ერთად აჯამებენ და განიხილავენ წაკითხულს. კითხვის პროცესში სვამენ შეკითხვებს, გამოთქვამენ აზრებს.
- **დღიურის წარმოება.** კითხვის პროცესში აკეთებს ჩანაწერებს და სხვებსაც უზიარებს თავის შთაბეჭდილებებს..
- **გრაფიკული სქემები.** გრაფიკული სქემებისა და ცხრილების გამოყენებით ვიზუალურად ასახავს ტექსტში გადმოცემულ ინფორმაციას, იყენებს ტექსტის გააზრებისა და საკუთარი დამოკიდებულებების ჩამოსაყალიბებლად.

რჩევები მოსწავლეთა გაგება-გააზრების უნარის განსავითარებლად

- დავუსახოთ წაკითხვის მიზანი.
- შევურჩიოთ კითხვის დონის შესაფერისი ტექსტები.
- გამოვიყენოთ ფიქრის გახმოვანებისა და ილუსტრირების მეთოდი(ხმამაღლა ფიქრი).
- დავუსვათ „რატომ“ შეკითხვები.
- ვასწავლოთ ტექსტის ტიპები და სტრუქტურა.
- გავუმდიდროთ ლექსიკური მარაგი.
- დავაკავშიროთ კითხვა წერასთან.
- ხშირად გავმართოთ დისკუსიები, ვასაუბროთ მოსწავლეები წაკითხულის შესახებ.

- ვასწავლოთ ვიზუალური სქემების გამოყენება.
- მივაჩვიოთ გაგება-გააზრების მონიტორინგს.
- დავაკვირდეთ, თვალყური ვადევნოთ და შევაფასოთ.

გაგება-გააზრების უნარის შემოწმება და შეფასება

ზოგჯერ ტექსტის გაგება-გააზრების უნარის შემოწმება/შეფასება კომბინირებულია ტექსტის გამართულად წაკითხვის შემოწმებასთან. ასეთ შემთხვევაში მოსწავლე ხმამაღლა წაკითხავს ტექსტს და მასწავლებელი ჩაინიშნავს დაშვებულ შეცდომებს. ამის შემდეგ რამდენიმე შეკითხვას დაუსვამს მოსწავლეს. იქიდან გამომდინარე, რომ ხმამაღლა კითხვისას მოსწავლე კონცენტრირებულია უშეცდომოდ კითხვაზე და გაგება-გააზრებას ნაკლებ ყურადღებას აქცევს, კომბინირებული ტესტის გამოყენება უმჯობესია მესამე კლასიდან.

გაწაფული/გამართული კითხვა

(სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებული - კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე, I-VI კლასები, 2015 წ. (G-pried) გვ. 129-134,159,163,164).

გამართულობა/გაწაფულობა კითხვის მნიშვნელოვანი ასპექტია. გაწაფული მკითხველი კითხულობს:

- უშეცდომოდ (სწორად) და ავტომატურად (ძალისხმევის გარეშე);
- ასაკისათვის შესაფერისი ტემპით;
- გამომეტყველებით (ხმის ტონი, მახვილები, პაუზები, ინტონაცია);
- ფრაზებად (სიტყვების დაჯგუფება) და სასვენი ნიშნების გათვალისწინებით.

გაუმართავი კითხვისათვის დამახასიათებელია ე. წ. „რობოტული“ კითხვა, არაბუნებრივი წყვეტები, ხშირი გამეორება და თვითმესწორება, წერტილებისა და სხვა სასვენი ნიშნების იგნორირება კითხვისას. კითხვის უმთავრესი ფუნქცია გაგება-გააზრებაა. გაგება რთულდება გაწაფული კითხვის გარეშე. თუ მოსწავლე მუდმივად ყოვნდება უცხო სიტყვების დეკოდირების მიზნით, კითხვის პროცესი ხანგრძლივ, დამღლელ აქტივობად გადაიქცევა. მას შემდეგ, რაც მკითხველი კითხვას გაწაფავს, ენერგიას მიმართავს გააზრების სტრატეგიებზე: ანალიზი, ჩადიება, ინტერპრეტაცია, დასკვნების გაკეთება, შეკითხვების დასმა და სხვა. ამიტომაც ძალზე მნიშვნელოვანია გაწაფული

კითხვის უნარის დროულად და სათანადოდ განვითარება, რაც კონკრეტული მეთოდებისა და რესურსების გამოყენებით მიიღწევა.

გაწაფულ კითხვას ძირითადად ზომავენ წუთში სწორად წაკითხული სიტყვების (წსწს) რაოდენობის მიხედვით. ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულია გამართული/გაწაფული კითხვის შესაბამისი შედეგები და ინდიკატორები. მათი დახმარებით იგეგმება, ერთი მხრივ, სასწავლო პროცესი, მეორე მხრივ მოწმდება მოსწავლის მიმდინარე და საბოლოო შედეგები.

პირველი კლასიდან მოსწავლემ უნდა შეძლოს წერილობითი კოდის გაშიფვრა, (გრაფიკული ხატის აკუსტიკურ ხატად გარდაქმნა - ასოების ამოცნობა და მათი დაკავშირება შესაბამის ბგერებთან), ასევე, ბგერების სიტყვად გამთლიანება, აკუსტიკური ხატის დაკავშირება სიტყვის მნიშვნელობასთან.

მეორე-მესამე კლასებში აღნიშნული უნარ-ჩვევები ვითარდება და ემატება მცირე ზომის ტექსტების ხმამაღლა წაკითხვისა და სასვენ ნიშნებთან პაუზების გაკეთების უნარ-ჩვევა. ბავშვებმა უნდა მოახერხონ სულ უფრო და უფრო გრძელ, თანხმოვნებით დატვირთულ სიტყვებში წერილობითი კოდის გაშიფვრა. შედეგად მოსწავლე გაბმულ ტექსტში ავტომატურად ცნობს ნაცნობ სიტყვებს და ადვილად ამოიკითხავს უცნობ სიტყვებს, თანაც, ამ ქმედების შესრულებას სულ უფრო და უფრო სწრაფად ახერხებს.

მეოთხე კლასში გაწაფულმა კითხვამ სრულფასოვანი სახე უნდა მიიღოს - ნაცნობი ტექსტი და შერჩეული ნაწყვეტი მოსწავლემ უნდა წაკითხოს ხმამაღლა, გამოიყენოს ინტონაცია სასვენი ნიშნების ფუნქციის შესაბამისად და გამოხატოს ტექსტში ასახული ემოცია.

გაწაფული კითხვის სწავლების ძირითადი პრინციპები

- **მოსწავლეებისათვის გაწაფული/გამართული კითხვის მახასიათებლებისა და ინდიკატორების ექსპლიციტურად გაცნობა.** მოსწავლეებმა მასწავლებლის დახმარებით უნდა იცოდნენ და შეძლონ მსჯელობა, თუ რა არის გაწაფული კითხვა? რა უნდა შეძლოს გაწაფულმა მკითხველმა? რა მიზნებს ვაღწევთ კითხვის გაწაფვის გზაზე?
- **გაწაფული/გამართული კითხვის მოდელირება.** მოსწავლეებმა თვალსაჩინოდ უნდა ნახონ, თუ როგორია გაწაფული კითხვა მასწავლებლის, მოხალისე მშობლის ან უფროსკლასელის მოდელირების გზით. ზოგჯერ სასარგებლოა, პარალელურად გაუწაფავი კითხვის მაგალითების განხილვაც.

- **ინტენსიური მართული პრაქტიკა ხმამაღლა კითხვაში.** მართული პრაქტიკა მოიცავს მკითხველისათვის უკუკავშირის მიწოდებას მასწავლებლის, თანაკლასელების ან მშობლების მხრიდან.
- **ერთობლივი კითხვა ქოროში/გუნდად.** მასწავლებელი ყველა მოსწავლესთან ერთად კითხულობს შერჩეულ ტექსტს.
- **ექოდ კითხვა.** მასწავლებელი მიმდევრობით, ხმამაღლა კითხულობს ტექსტის წალკეულ მონაკვეთს, მოსწავლეები გუნდად კითხულობენ იმავე მონაკვეთს.
- **წყვილებში კითხვა.** ყველა მოსწავლე ჯერ დამოუკიდებლად, ჩუმად კითხულობს მთლიან ტექსტს. მასწავლებელს შეუძლია რომელიმე მოსწავლესთან წყვილში წაკითხვის მოდელირებით დაიწყოს ეს აქტივობა. მასწავლებელი უნაწილებს წყვილებს ტექსტის მონაკვეთებს, მოსწავლეები ჩუმად კითხულობენ მიცემულ მონაკვეთს, შემდეგ უკითხავენ მეწყვილეს, მსმენელი მოსწავლე ყურადღებით უსმენს და შემდეგ წაკითხულზე აკეთებს კომენტარს, იძლევა რჩევებს. (რჩევებისა და კომენტარის მიცემისათვის მოსწავლეებმა წინასწარ უნდა იცოდნენ, კითხვის რომელ ასპექტზე უნდა გაამახვილონ ყურადღება).
- **კითხვა აუდიოჩანაწერის დახმარებით.** მოსწავლეები ტექსტს თვალს აყოლებენ, თან უსმენენ აუდიოჩანაწერს და ხმამაღლა ჰყვებიან მის ხმას.
- **მეგობრული კითხვა.** გაწაფული მკითხველი უსმენს მოსწავლის წაკითხულს, შემდეგ აკეთებს უკუკავშირს.
- **შერჩეული ტექსტების გამეორებითი კითხვა.** მოსწავლე ერთსა და იმავე ტექსტს გამეორებით ხმამაღლა წაკითხავს 3-ჯერ ან 4-ჯერ. წასაკითხად შერჩეული ტექსტები თანდათან რთულდება.
- **დამოუკიდებელი პრაქტიკა და პრეზენტაცია.** ეხმარება მოსწავლეებს გამომეტყველებითი კითხვის დაუფლებაში.
- **დამოუკიდებელი ჩუმი კითხვა სკაფოლდინგით.** მოსწავლეები შეარჩევენ დამოუკიდებელი კითხვის დონის ტექსტს ან მასწავლებელი დაეხმარება მის შერჩევაში. (მაგ. ტექსტის შერჩევა „ხუთი თითის წესის“ გამოყენებით -100 სიტყვიან მონაკვეთში ხუთი უცნობი სიტყვის შეხვედრის შემთხვევაში მოსწავლე ცვლის საკითხავ ტექსტს სხვა ტექსტით). მასწავლებელი აკვირდება კითხვის პროცესს, დროდადრო ზოგიერთ მოსწავლესთან ჩერდება და უსმენს, შესაძლებელია, დაუსვას გაგება-გააზრებაზე ორიენტირებული კითხვები, მისცეს მითითებები ან კონკრეტული დავალება, რომელსაც კითხვის დასრულების შემდეგ შეასრულებს.
- **მკითხველთა თეატრი.** ტექსტის გადანაწილება და როლებში ხმამაღლა წაკითხვა მოსწავლეების მიერ.

- **რადიოკითხვა.** მკითხველი მთლიან ტექსტს (ან მის მონაკვეთს) მთლიანად კითხულობს და ყველა როლს თვითონ ირგებს. (მკითხველთა თეატრის სახეცვლილება).
- **დეკლამაცია (სასცენო კითხვა)** - ეს არის მკითხველთა თეატრისა და დამოუკიდებელი ჩუმი კითხვის კომბინაცია. ტექსტის გამართულად წაკითხვისა და გაგება-გააზრების შემდეგ მასწავლებლის მიერ შერჩეული რამდენიმე მოსწავლე დადგამს წარმოდგენას, იმავდროულად, სხვები თავიანთ ეგზემპლარებში თვალს აყოლებენ ტექსტს.

საკითხავი მასალის შერჩევა გაწაფული კითხვისათვის

მნიშვნელოვანია, გაწაფული კითხვის განვითარებისათვის გამოყენებულ იქნას შესაფერისი სირთულის მრავალფეროვანი მასალა: თხრობითი და აღწერითი ტექსტები, ლექსები, იგავები, მოთხრობები, საბავშვო პიესები და სხვა. ზედმეტად რთული ტექსტები გამოიწვევს მოსწავლის ფრუსტრაციას. მართული პრაქტიკის აქტივობებისათვის ძირითადად გამოიყენება სასწავლო დონის ტექსტები, დამოუკიდებელი პრაქტიკისთვის- დამოუკიდებელი კითხვის დონის ტექსტები. სკრინინგისა და დიაგნოსტიკური ტესტების გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია განსაზღვროს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური კითხვის დონე და დაეხმაროს შესაფერისი სირთულის წიგნების შერჩევაში.

გაწაფული/გამართული კითხვის განმავითარებელი მეთოდებისა და აქტივობების ჩამონათვალი: კითხვის მატარებელი, ფრაზეზად კითხვა, წყვილებში კითხვა, ხმამაღლა წაკითხვა შეცდომებით, გამეორებითი კითხვა, მკითხველთა თეატრი, კითხვა ბუქსირით, სიმღერის ტექსტის წაკითხვა, უცნაური ხმებით კითხვა, სუპერსიჩქარე, მოსწავლის წაკითხულის აუდიოჩანაწერები, დახმარებით კითხვა.

კვლევის პროცესში გაწაფული/გამართული კითხვის უნარის გაუმჯობესებისათვის ჩამოთვლილი აქტივობებიდან შევარჩიე რამდენიმე მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, რაზეც უფრო დაწვრილებით ქვემოთ მოგახსენებთ.

გაწაფული კითხვის შემოწმება, პროგრესის მონიტორინგი და შეფასება.

(სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებული - კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე, I-VI კლასები, 2015 წ (G-pried) გვ. 153-164).

გაწაფული კითხვის მონიტორინგისა და შეფასებისათვის გამოიყენება რამდენიმე ეფექტური ინსტრუმენტი:

- **სიტყვების წაკითხვის ერთწუთიანი ინდივიდუალური ტესტი.** ტესტის დანიშნულებაა სიტყვების დეკოდირებისა და/ან ავტომატურად ცნობის უნარის შემოწმება პირველ და მეორე კლასში. დიაგნოსტიკური ტესტირება შეიძლება ჩატარდეს რამდენჯერმე სასწავლო წლის განმავლობაში. ტესტირების დროს მოსწავლე ხმამაღლა კითხულობს ცალკეულ სიტყვებს, დასრულების შემდეგ მასწავლებელი დაიანგარიშებს წუთში სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობას.
- **ტექსტის წაკითხვის ერთწუთიანი ინდივიდუალური ტესტი.** ტესტის დანიშნულებაა ტექსტის გამართულად წაკითხვის უნარის შემოწმება მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე კლასებში. სასურველია, სკრინინგის ჩატარება თითოეული სემესტრის დასაწყისში. დიაგნოსტიკური ტესტირება შეიძლება ჩატარდეს სასწავლო წლის განმავლობაში რამდენჯერმე. ტესტირების დროს მოსწავლე ხმამაღლა კითხულობს გაბმულ ტექსტს, დასრულების შემდეგ მასწავლებელი დაიანგარიშებს წუთში სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობას.
- **ფსევდოსიტყვების წაკითხვის ერთწუთიანი ინდივიდუალური ტესტი.** ტესტი ამოწმებს დეკოდირების (ასოების სწორად ამოცნობისა და გადამხმის) უნარს მეორე და მესამე კლასებში. ზოგჯერ ამ უნარების გადამოწმება საჭიროა იმაში დასარწმუნებლად, რომ მოსწავლე მთლიანი სიტყვების ავტომატურად ცნობის გარდა სწორად დეკოდირებასაც ახერხებს. ტესტირების დროს მოსწავლე ხმამაღლა კითხულობს ცალკეულ ფსევდოსიტყვებს (სუზ, იჯელ, პონუფ და სხვა), დასრულების შემდეგ მასწავლებელი დაიანგარიშებს წუთში სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობას, ასევე მოინიშნავს იმ ასოებს, რომლებზეც მოსწავლე ფერხდებოდა ან უშვებდა შეცდომას.
- **გაწაფული კითხვის შეფასების (თვითშეფასების) რუბრიკები.** გაწაფულ კითხვაში თვითშეფასება მეტად სასარგებლოა მოსწავლეებისათვის. ამისათვის კარგია სპეციალური რუბრიკის გამოყენება, რომლის კრიტერიუმები და მათი დონეები შემუშავებულია გაწაფული კითხვის ასპექტების/პრინციპების გათვალისწინებით: 1. ფრაზეზად კითხვა/სიტყვების დაჯგუფება; 2. კითხვის ტემპი; 3. პუნქტუაცია/სასვენი ნიშნები;

4. გამომეტყველებით წაკითხვა. ასევე საუკეთესოა გაწაფული კითხვის პოსტერის თვალსაჩინო ადგილზე გამოკვრა. მოსწავლეებს შეუძლიათ იმსჯელონ საკუთარი კითხვის გაწაფულობაზე პოსტერზე მოცემული კრიტერიუმების მიხედვით.

- **მართული პრაქტიკის პროცესი.** მასწავლებელი თვალყურს მიადევნებს ხმამაღლა კითხვის პროცესს და აკეთებს ჩანიშვნებს საკუთარ რვეულში, რაც ეხმარება მოსწავლეთა მიღწევებისა და საჭიროებების განსაზღვრაში, პრაქტიკული სავარჯიშოებისა და საკითხავი მასალის შერჩევაში, მოსწავლეთა დაწყვილებასა და დაჯგუფებაში.

შემიძლია დავასკვნა, რომ განხილულმა ლიტერატურამ კიდევ უფრო ცხადად დამანახა საკვლევი საკითხის აქტუალობა. ასევე ჩემთვის ნათელი გახდა, რომ კითხვის სწავლების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების მიზეზები ინდივიდუალური და მრავალგვარი შეიძლება იყოს. თუმცა, სკრინინგისა და დიაგნოსტიკის შედეგად შესაძლებელია მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა და შესაბამისი ინტერვენციების განხორციელება. სარესურსო კრებული იძლევა რეკომენდაციებს, რა მეთოდები და აქტივობები შეიძლება გამოვიყენოთ კითხვის უნარების დასახვეწად და გასაუმჯობესებლად, შეფასების რა ინსტრუმენტებს შეგვიძლია მივმართოთ კითხვის სწავლების სხვადასხვა ეტაპზე. G-PRIED-ის კრებულიდან ასევე ვიგებთ, რომ საკლასო შეფასების სამი ძირითადი ტიპი არსებობს:

სკრინინგი - მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა;

დიაგნოსტიკა - მოსწავლის წარმატება-წარუმატებლობის მიზეზების პოვნა;

პროგრესის მონიტორინგი - სწავლა-სწავლების ეფექტურობის დადგენა.

რესურსწიგნი იძლევა რეკომენდაციებს, რა საშუალებები უნდა გამოვიყენოთ ამა თუ იმ მონაცემებზე დაყრდნობით. სხვადასხვა ეფექტური და ინოვაციური მეთოდების დახმარებით მოსწავლეები ნაბიჯ-ნაბიჯ ივითარებენ უნარებს კითხვის სხვადასხვა კომპონენტის მიმართულებით, რაც ხელს უწყობს კითხვის მთავარი მიზნის - გაგება-გააზრების სტრატეგიების დაუფლებას.

ამრიგად, განხილული ლიტერატურა დამეხმარა, დამეგეგმა საინტერესო და მრავალფეროვანი გაკვეთილები მესამე კლასში, რათა მიმეღწია გაწაფული კითხვის უნარის გაუმჯობესებისათვის.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდები

წარმატებული კვლევისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია კვლევის მეთოდების სწორად, მიზნობრივად შერჩევა. კვლევის პროცესში გამოვიყენე როგორც **თვისობრივი**, ასევე **რაოდენობრივი** კვლევის მეთოდები, რადგან მათი ერთობლივი გამოყენება უზრუნველყოფს კვლევის სანდოობასა და მაღალ ხარისხს.

მონაცემთა შეგროვების პროცესში გამოვიყენე მეთოდები: დაკვირვება, ფოკუს-ჯგუფი, ანკეტირება, ინტერვიუ. კვლევის განხორციელება დავიწყე **უბრალო დაკვირვებით**. ვაკვირდებოდი ყველაფერს, რაც უკავშირდებოდა ჩემს საკვლევ თემას. ვაკვირდებოდი მოსწავლეთა კითხვის პროცესს, რა გამოსდიოდათ კარგად, რა უჭირდათ, რა მოსწონდათ, ვინიშნავდი ყველაფერს კვლევის დღიურში.

ჩართული დაკვირვების პროცესში გამოვიყენე მისი სახეები: აღწერითი, ფოკუსირებული და შერჩევითი დაკვირვება.

აღწერითი დაკვირვების პროცესში ვინიშნავდი, თუ რამდენად ხალისით და ინტერესით ერთვებოდნენ მოსწავლეები კითხვის პროცესში, რომელი აქტივობები მოსწონდათ ან როგორი საკითხავი მასალა.

ფოკუსირებული დაკვირვების დროს ყურადღება გავამახვილე ნაკლებად მოტივირებულ ჯგუფზე, რათა გამერკვია კითხვის მიმართ მათი ნაკლებად დაინტერესების მიზეზები.

შერჩევითი დაკვირვების მიზანი იყო ინდივიდუალურად დაკვირვებოდი კითხვაში შედარებით გაუწაფავ მოსწავლეებს, ვაკეთებდი ჩანაწერებს და ვაანალიზებდი, რომ გამეწია მათთვის შესაბამისი დახმარება.

ფოკუს-ჯგუფი იყო მესამე კლასის მოსწავლეთა 7 მშობელი, რომლებსაც შვილები ყოველ დღით მოჰყავდათ სკოლაში და ნებისმიერ სასწავლო დღეს შემეძლო მათთან შეხვედრა და გასაუბრება ისეთ საკითხებზე, რაც კვლევის წარმოებაში დამეხმარებოდა. კერძოდ, მათთან გასაუბრებამ შემიქმნა ზოგადი ფონი მათი და მათი შვილების კითხვასთან დამოკიდებულების შესახებ; ასევე დავინტერესდი, თუ როგორ თანამშრომლობდნენ შვილებთან კითხვაში გაწაფულობის მიღწევის მიზნით. მათთან გასაუბრება დამეხმარა კითხვარების შედგენაში.

ანკეტირება ვაწარმოე დაწყებითი საფეხურის ქართულის მასწავლებლებთან (დანართი 3), რომლის მიზანი იყო, მიმეღო

ინფორმაცია,ზოგადად, კითხვის კომპონენტთან და ამ მიმართულებით მათ მოსწავლეებთან არსებული მდგომარეობის შესახებ; მესამე კლასის მოსწავლეებთან (დანართი 4) ანკეტირების მიზანი იყო, გამერკვია მათი დამოკიდებულება კლასგარეშე ლიტერატურის კითხვასთან და კითხვის უნარების ფლობასთან დაკავშირებით. მოსწავლეთა მშობლების გამოკითხვის (დანართი 5)მიზანი კი იყო დამედგინა, რამდენად იყვნენ დაინტერესებულნი და ეხმარებოდნენ თავიანთ შვილებს კითხვის უნარების გაუმჯობესებაში. კითხვარები შევსებული იქნა ინდივიდუალურად ანონიმურობის დაცვით გულწრფელი პასუხების მიღების მიზნით.

ინტერვიუმ პედაგოგებთან საშუალება მომცა, გამერკვია მათი დამოკიდებულება კითხვასთან დაკავშირებული პრობლემების მიმართ (დანართი 6).

მონაცემთა ანალიზმა შესაძლებლობა მომცა, შემეფასესებინა, რამდენად კარგად მიმდინარეობდა კვლევის პროცესი, რა იყო გაუმჯობესებული საკვლევ თემასთან დაკავშირებით და რა საჭიროებდა დახვეწას და გაუმჯობესებას.


ძირითადი დასკვნები. კვლევის მეთოდებმა საშუალება მომცა, მომეხდინა პრობლემის იდენტიფიცირება, გამომწვევი მიზეზების დადგენა, მათი გაანალიზება და გადაჭრის გზების დასახვა.

მონაცემთა ანალიზი


მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები და ანალიზი

მესამე კლასის მოსწავლეებს შევუდგინე კითხვარი ღია და დახურული კითხვებით (დანართი 4), რომელიც შეავსეს ინდივიდუალურად კლასში. კითხვარის მიზანი იყო, გამერკვია მოსწავლეთა დამოკიდებულება კლასგარეშე ლიტერატურის კითხვასთან და გაწაფული კითხვის უნარების ფლობასთან დაკავშირებით. მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები ასე გამოიყურება:


გიყვარს თუ არა წიგნის კითხვა და თუ კითხულობ ყოველდღე?




ვის გინდა გაუზიარო შთაბეჭდილებები წაკითხულის შესახებ?




თუ გბეზრდება კითხვა და რატომ?




როგორ იქცევი, როცა კლასგარეშე საკითხავი შენთვის რთულია ან უინტერესო?




შენი აზრით, როგორი ტემპით კითხულობ?



რა სირთულეებს აწყდები კითხვის პროცესში?



მოგწონს თუ არა, როცა მეწყვილეს უკითხავ და მისგან რჩევებს იღებ?




მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით გავაკეთე რამდენიმე დასკვნა, რომლებიც გავითვალისწინე ინტერვენციების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესისათვის:

- მოსწავლეებს მოსწონთ წყვილებში კითხვა და ამ დროს არიან უფრო მოტივირებულნი;
- მოსწავლეებს მოსწონთ, როცა წაკითხულის შესახებ შთაბეჭდილებებს სხვებს უზიარებენ;
- მათ სჭირდებათ რჩევები კლასგარეშე საკითხავი მასალის შერჩევასთან დაკავშირებით;
- მოსწავლეები გადაჭარბებულად აფასებენ თავიანთ კითხვის უნარებს;
- მათ ესაჭიროებათ შეფასებისა და თვითშეფასების სქემების, შეფასების კრიტერიუმების კარგად გაცნობიერება თავიანთი კითხვის უნარების რეალური შეფასებისა და პროგრესის დასანახად.

მშობელთა გამოკითხვის შედეგები და ანალიზი


- ❖ მშობელთა ანკეტირების (წერილობითი გამოკითხვა) დროს (დანართი 5- კითხვარები მშობლისათვის), თუ რა სიხშირით კითხულობენ მათი შვილები კლასგარეშე ლიტერატურას, გამოიკვეთა: 17 მშობლიდან 14 თვლის, რომ მისი შვილი ხშირად კითხულობს კლასგარეშე ლიტერატურას, ხოლო 3 თვლის, რომ იშვიათად კითხულობს. ეს გრაფიკულად ასე გამოიყურება:

რა სიხშირით კითხულობს თქვენი შვილი კლასგარეშე ლიტერატურას?




- ❖ 17 მშობლიდან კი ყველა თვლის, რომ კლასგარეშე ლიტერატურა ხელს შეუწყობს გაწაფული კითხვის უნარის განვითარებას:

გაწაფული კითხვის დაუფლებაში დაეხმარება თუ არა თქვენს შვილს კლასგარეშე ლიტერატურა?




- ❖ 17 მშობლიდან 11 თვლის, რომ ეხმარება თავის შვილს კლასგარეშე ლიტერატურის შერჩევაში, 6 კი თვლის, რომ მათი შვილები თვითონ არჩევენ კლასგარეშე ლიტერატურას.



- ❖ კითხვაზე, თუ დაკვირვებიან, რა პრობლემებს აწყდებიან მათი შვილები კითხვის პროცესში, 4 მშობელი თვლის, რომ მისი შვილი კითხვის დროს ზოგიერთ სიტყვას კითხულობს შეცდომით; 5 თვლის, რომ ასაკთან შედარებით მისი შვილი ნელა კითხულობს; 7 თვლის, რომ სასვენ ნიშნებს არ ან ნაწილობრივ ითვალისწინებს, ხოლო ორი თვლის, რომ მისი შვილი რობოტით (ინტონაციის გარეშე) კითხულობს. შედეგი გრაფიკულად ასე გამოიყურება:


რა პრობლემებს აწყდება თქვენი შვილი კითხვის დროს?



გამოკითხვიდან გამომდინარე, მშობლების აზრით, კითხვის დროს მათ შვილებს ყველაზე მეტად უჭირთ:

- სასვენი ნიშნების გათვალისწინებით კითხვა;
 - ნორმალური ტემპით კითხვა;
 - უშეცდომოდ კითხვა.
- ❖ კითხვაზე, თუ როგორ ეხმარებიან თავიანთ შვილს გამართული კითხვის უნარის დაუფლებაში, 9 პასუხობს, რომ ხშირად აკითხებს და შეცდომებს უსწორებს; 4 მშობელი პასუხობს, რომ უთითებს სასვენი ნიშნებზე; 4 კი აღნიშნავს, რომ შეცდომით წაკითხულს ამეორებინებს და ერთ და იმავე ტექსტს რამდენჯერმე აკითხებს. აღნიშნულ კითხვაზე მშობელთა პასუხების გრაფიკული სახე ასეთია:

როგორ ეხმარებით თქვენს შვილს გაწაფული კითხვის დაუფლებაში?



❖ კითხვაზე, რა ტიპის დახმარებას ისურვებდნენ პედაგოგისგან კითხვის გასაუმჯობესებლად,

- 17-დან 6-ს სურს, რომ მასწავლებელმა კითხვას ყოველდღე დაუთმოს გარკვეული დრო, წაკითხოს პატარ-პატარა მონაკვეთები ახალი ტექსტიდან;
- 3-ს სურს, რომ მასწავლებელმა აკითხოს საინტერესო ტექსტები და მიუთითოს ინტონაციაზე;
- 4-ს სურს, რომ მასწავლებელმა ბავშვებს მისცეს ასაკისათვის შესაფერისი ლიტერატურის ჩამონათვალი;
- 4-ს სურს, რომ მასწავლებელი თვეში ერთხელ მაინც გაესაუბროს ბავშვებს წაკითხული კლასგარეშე ლიტერატურის შესახებ.


მშობლების წერილობითი გამოკითხვიდან გავაკეთე რამდენიმე დასკვნა:

- მშობლები დაინტერესებულნი არიან შვილების კითხვის უნარის გაუმჯობესებით და შეძლებისდაგვარად ეხმარებიან მათ;
- მშობლებს სურთ, დაეხმაროს მასწავლებელი მოსწავლეებს კლასგარეშე ლიტერატურის შერჩევაში და აკონტროლოს შეძლებისდაგვარად მათი კლასგარეშე ლიტერატურის კითხვის სიხშირე;
- მასწავლებელმა ყოველდღე გამოყოს დრო მოსწავლეთა კითხვაში გაწაფულობისათვის და დაეხმაროს მათ კითხვის უნარების გაუმჯობესებაში.

მშობელთა სურვილებს და რეკომენდაციებს შეძლებისდაგვარად ვითვალისწინებდი კვლევის პროცესში და გავითვალისწინებ მომავალშიც:

მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები და ანალიზი

მასწავლებელთა წერილობითი გამოკითხვისას (დანართი 3) შეკითხვაზე, გაწაფული კითხვის რომელ ასპექტში აწყდებიან მათი მოსწავლეები პრობლემებს, გამოიკვეთა შემდეგი:



კითხვაზე, თუ რომელ სტრატეგიებს, აქტივობებს იყენებენ უფრო მეტად და თვლიან ეფექტურად გაწაფული კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად, დაასახელეს:

- ხმამაღლა კითხვა ინდივიდუალურად;
- წყვილებში კითხვა;
- როლური კითხვა;
- ამოკრებით კითხვა;
- არეული წინადადებების დაწყობა სწორი თანმიმდევრობით;
- „სიტყვების კედელი“-ის გამოყენება;
- „კითხვის მატარებელი“ და სხვა.


გამოკითხულ მასწავლებლებს კოლეგისგან რჩევის მიღების მიზნით გაწაფულ/გამართულ კითხვასთან დაკავშირებით აინტერესებთ პასუხები შემდეგ კითხვებზე:

- რა კავშირია ლექსიკურ მარაგსა და გაწაფულ კითხვას შორის?
- როგორ დავაინტერესო მოსწავლე, რომელსაც არ უყვარს კითხვა?
- რა სტრატეგიებს და მეთოდებს იყენებენ გაწაფული კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად?
- რომელ პრაქტიკულ დავალებებს ანიჭებთ უპირატესობას?
- როგორ ამოწმებთ გაწაფული კითხვის უნარებს?


კოლეგების მიერ დასმული შეკითხვები დამეხმარა იმაში, რომ საკვლევ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის განხილვისას ყურადღება უნდა მიმექცია შემდეგი საკითხებისათვის:

- ყურადღება გამემახვილებინა კითხვის კომპონენტებსა და მათ შორის კავშირზე;
- გავცნობოდი იმ მეთოდებსა და სტრატეგიებს, რომლებიც გაწაფული კითხვის უნარის გაუმჯობესებაში, პროგრესის მონიტორინგსა და შეფასებაში დამეხმარებოდა;
- შემერჩია ისეთი მეთოდები/აქტივობები, რომლებიც სახალისოსა და საინტერესოს გახდიდა მოსწავლეებისათვის გაწაფული კითხვის დაუფლების პროცესს;


ინტერვიუ კოლეგებთან. კოლეგებთან გასაუბრებისას (დანართი 6 - ინტერვიუს კითხვები) დავინტერესდი, თუ რამდენად უჭირთ მათ მოსწავლეებს გაწაფული/ გამართული კითხვა, რა აფერხებს მათ მოსწავლეებში ამ უნარის გაუმჯობესებას, არის თუ არა ეს პრობლემა მარტო ქართულის მასწავლებლების საზრუნავი და როგორ ესახებათ ამ პრობლემის მოგვარების გზები.



რა აფერხებს კითხვის უნარის გაუმჯობესებას მოსწავლეებში?



როგორ გესახებათ მოსწავლეებში კითხვის უნარის გაუმჯობესების გზები?



გამოკითხულ ქართულის მასწავლებლებს სურთ **სხვა საგნის მასწავლებლებისგან მიიღონ შემდეგი ტიპის დახმარებები:**

- სხვა საგნის მასწავლებელმა ხშირად წააკითხოს მოსწავლეს ახსნილი მასალა ხმამაღლა და კითხვაში დაშვებულ შეცდომებზე მისცეს განმავითარებელი კომენტარები;

- კითხვაში გაუწაფავი მოსწავლეების დახმარების მიზნით ითანამშრომლოს ქართულის მასწავლებელთან;
- ქართულის მასწავლებელთან ერთად სხვა საგნის მასწავლებლებმა კითხვის უნარების გაუმჯობესების მიმართულებით ერთობლივად დაგეგმონ სხვადასხვა პროექტები და მიიღონ მასში მონაწილეობა.

ძირითადი დასკვნები

კოლეგების, მშობლების, მოსწავლეების გამოკითხვამ განამტკიცა ჩემი მოსაზრებები საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ:

- მოსწავლეებს უჭირთ კითხვა და ესაჭიროებათ დახმარება ამ უნარის დასახვეწად და გასაუმჯობესებლად;
- გაწაფული/გამართული კითხვის უნარის გაუმჯობესება შესაძლებელია:
 - ა) მრავალფეროვანი, საინტერესო, სახალისო აქტივობების/მეთოდების გამოყენებით მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების და შესაძლებლობების, ინტერესთა სფეროს გათვალისწინებით;
 - ბ) მოტივაციის ამაღლების-კითხვის სურვილის გაჩენის, ასაკისათვის შესაფერისი კლასგარეშე ლიტერატურის შერჩევაში დახმარების გზით;
 - გ) მშობლებთან და სხვა საგნის პედაგოგებთან თანამშრომლობის გზით.

კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებამ საშუალება მომცა, მომეხდინა პრობლემის იდენტიფიცირება, დამედგინა მისი გამომწვევი მიზეზები, გამეანალიზებინა და დამეგეგმა ინტერვენციები. კვლევაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი მოსწავლეები, მათი მშობლები, მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობის პრინციპებზე დაყრდნობით.

ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება

ინტერვენციების დაგეგმვა

კვლევის ფარგლებში მესამე კლასის საგაკვეთილო პროცესებზე დაკვირვების შედეგებზე დაყრდნობით, ჩემს ხელთ არსებულ მონაცემთა შედეგების გაანალიზებით, კოლეგების პრაქტიკის კვლევების გაცნობის, საკვლევ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის განხილვის შემდეგ შევარჩიე რამდენიმე ეფექტური სტრატეგია, რომლებიც ავითარებს მოსწავლეებში გაწაფული კითხვის უნარებს. მათი გამოყენებით დავგეგმე გაკვეთილები და სისტემატიურად ვმუშაობდი ჩემს მესამე კლასელებთან, რომ გამეუმჯობესებინა მათთან გაწაფული კითხვის უნარები.

გასათვალისწინებელი იყო მოსწავლეების, მათი მშობლების და კოლეგების დამოკიდებულებები კვლევასთან დაკავშირებით. მათთან მოვახდინე გაწაფულ კითხვასთან დაკავშირებული პრობლემის განხილვა, ავუხსენი, რომ პრობლემის მოგვარებისათვის აუცილებელი იყო ერთობლივი მუშაობა, მოვისმინე მათი მოსაზრებები და სურვილები. მოსწავლეებს უნდა გაეცნობიერებინათ კითხვასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების აუცილებლობა. შევახსენე მათ, რომ მაღალ კლასებში სხვადასხვა საგნებში უფრო დიდი ზომის ტექსტებთან შეხებისას მათი შვილები აუცილებლად წააწყდებოდნენ სირთულეებს კითხვაში არსებული პრობლემების გამო, ამიტომ ამ სირთულეების თავიდან ასაცილებლად დაწყებით კლასებშივე აუცილებელი იყო გაწაფული/გამართული კითხვის უნარების გაუმჯობესებაზე ზრუნვა.



იმისათვის, რომ მოსწავლეები აქტიურად ჩართულიყვნენ გაწაფული კითხვის უნარების გაუმჯობესების პროცესში, მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით დავგეგმე შემდეგი აქტივობები:

- წყვილებში კითხვა;
- კითხვის მატარებელი;
- გამეორებითი კითხვა;
- როლური კითხვა;
- დახმარებით (სკაფოლდინგით) კითხვა;
- გაწაფული კითხვის კონკურსი (წუთში სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობის მიხედვით);
- პროექტი „მე მიყვარს კითხვა“ (თანამშრომლობა საკლასო და სკოლის ბიბლიოთეკასთან);
- აქტიური თანამშრომლობა მშობლებთან;
- ზრუნვა წიგნიერი გარემოს შექმნაზე.

ინტერვენციების განხორციელება

მოსწავლეებში გამართული/გაწაფული კითხვის უნარების გაუმჯობესებისათვის დავგეგმილ აქტივობებს საფუძვლად დაედო კვლევის დასაწყისში ჩატარებული დიაგნოსტიკური ტესტირების შედეგები (დანართი 1, ტექსტის წაკითხვის ტესტი), რომელიც გრაფიკულად ასე გამოიყურება:

**მაღალი (60-80 წსწს);
საშუალო (46-55 წსწს);
დაბალი (22-38 წსწს)**



მოსწავლეებზე დაკვირვებისა და დიაგნოსტიკური ტესტირების საფუძველზე დავადგინე მათი ძლიერი და სუსტი მხარეები გაჩაფული კითხვის უნარებთან დაკავშირებით და შესაბამისად დავიწყე ინტერვენციების განხორციელება, რათა მიმედღია შედეგების გაუმჯობესებისათვის აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებაში.

1. წყვილებში კითხვა.

გაკვეთილზე ძალიან ხშირად ვიყენებ წყვილებში მუშაობას. წყვილებში კითხვაც ძალზედ ეფექტური გამოდგა. წყვილებში კითხვის აქტივობა ასე

წარმართა: წყვილებს მივუთითე წასაკითხი აბზაცი. ვთხოვე, მითითებული მონაკვეთი ჯერ **წაკითხათ დამოუკიდებლად**, ჩუმად, შემდეგ **წაკითხათ მეწყვილისათვის** საშუალოზე ოდნავ დაბალი ხმით. მსმენელი ასრულებდა მოსწავლეობის როლს, ყურადღებით უსმენდა მეწყვილეს, წაკითხვის შემდეგ უსწორებდა შეცდომებს, რომელიც ჩანიშნული ჰქონდა, აძლევდა რჩევებს კლასში გამოკრული გაწაფული კითხვის შეფასების რუბრიკის მიხედვით. კითხვის დასრულების შემდეგ მოსწავლეები გამოთქვამდნენ მოსაზრებებს წაკითხულთან დაკავშირებით. ხან კი ინდივიდუალურად ავსებდნენ გაწაფული კითხვის თვითშეფასების რუბრიკას (**დანართი 7**). აღნიშნული მეთოდი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს:

- ნაცნობი ტექსტი წაკითხონ წყვილებში;
- შეაფასონ ერთმანეთის წაკითხული;
- დაეხმარონ ერთმანეთს გაწაფული კითხვის უნარის დახვეწაში;
- მისცენ ერთმანეთს სტიმული, წაკითხონ ჩვეულებრივზე უკეთ.

აქტივობა ხელს უწყობს შემდეგი **უნარების** განვითარებას:

- სასვენი ნიშნების გათვალისწინებით და სათანადო ინტონაციით კითხვის უნარი;
- სიტყვების ფრაზებად გამთლიანების უნარი;
- უშეცდომოდ კითხვის უნარი;
- ყურადღების კონცენტრირებისა და მოსმენის უნარი;
- თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარი;
- თანამშრომლობით და ურთიერთდახმარებით სწავლის უნარი.

2. გამეორებითი კითხვის მეთოდი.

ამ მეთოდის გამოყენებამ ძალიან გაახალისა და მოტივირებული გახადა მოსწავლეები. კლასში აქტივობის მოდელირებას ვახდენდი იმგვარად, რომ მოსწავლეს დამოუკიდებლად შეძლებოდა შინ მშობლის დახმარებით აღნიშნული აქტივობის გამოყენება, კერძოდ, მეთოდის მიხედვით წუთში სწორად წაკითხული სიტყვების გამოსაანგარიშებელი ფორმულა (წსწს უდრის $(n-m) \cdot 60:t$) ამოვიღე და გამარტივებული სახით მოვახდინე სტრატეგიის მოდელირება:

- სახელმძღვანელოში ნაცნობი ტექსტის ერთ-ერთ მონაკვეთში გადავთვალეთ 90 სიტყვა და მოვნიშნეთ ფანქრით პატარა რკალით;
- კითხვის დაწყებამდე კიდევ ერთხელ გავიხსენეთ, კითხვის რომელ ასპექტებზე უნდა გაგვემახვილებინა ყურადღება კითხვის პროცესში;

- მოსწავლეებს გავაცანი აქტივობის ინსტრუქცია და დავიწყე მისი მოდელირება;
- ვთხოვე წაკითხვის მსურველ მოსწავლეს, გამოსულიყო და წაეკითხა მონიშნული მონაკვეთი, დანარჩენებს კი თვალი მიეყოლებინათ ტექსტის კითხვისათვის და მოენიშნათ გამოსული მოსწავლის მიერ შეცდომით წაკითხული სიტყვები ჩემთან ერთად;
- წამზომის მეშვეობით გაირკვა, თუ რა დრო მოანდომა მოსწავლემ მონიშნული მონაკვეთის წაკითხვას;
- კითხვის დასრულების შემდეგ გავარკვეეთ მოსწავლის მიერ შეცდომით და სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობა (90-ს გამოვაკელით შეცდომით წაკითხული სიტყვები);
- მონაცემები შევიტანეთ კლასში თვალსაჩინოდ გამოკრულ გამეორებითი კითხვის ცხრილში, (ცხრილი დავურიგე ყველა მოსწავლეს, რომელსაც შეავსებდნენ შინ კლასში მოდელირებული გამეორებითი კითხვის პროცედურის მსგავსად უფროსის დახმარებით) (დანართი 9);
- მოსწავლეს მივეცით უკუკავშირი გაწაფული კითხვის შეფასების სქემის მიხედვით (დანართი 7);
- მოსწავლეებს ვთხოვე დამოუკიდებლად, ჩუმად 2-ჯერ წაეკითხათ მონიშნული მონაკვეთი გამოძახებული მოსწავლის ჩათვლით;
- ამის შემდეგ კვლავ გავიმეორეთ მონიშნული მონაკვეთის წაკითხვის პირველი ცდის“ პროცედურა და მონაცემები შევიტანეთ თვალსაჩინოდ ცხრილის მომდევნო გრაფაში, როგორც მონიშნული მონაკვეთის წაკითხვის „მეორე ცდა“ (დანართი 9);
- მსგავსი პროცედურა წარიმართა მონიშნული მონაკვეთის წაკითხვის „მესამე ცდის“ შემთხვევაში.

მოსწავლეებმა სწრაფად აუღეს ალღო გამეორებითი კითხვის სტრატეგიას და დიდი ხალისით და მონდომებით იყენებდნენ შინ უფროსთან თანამშრომლობით. კლასში ვეცნობოდით და ვიხილავდით გამეორებითი კითხვის შედეგებს. შედეგების განხილვა და შეფასება ხდებოდა წყვილებშიც. მოსწავლეებს ძალიან უხაროდათ ის, რომ „მესამე ცდის“ შემდეგ გამართულად კითხულობდნენ. მე ვთავაზობდი წასაკითხი ტექსტის მონაკვეთებს გამეორებითი კითხვისათვის. კლასში ვავსებდით ჩვენ მიერ შემუშავებულ გამეორებითი კითხვის თვითშეფასების სქემას (მესამე ცდისათვის) (დანართი 10), რომელიც კლასშიც იყო გამოკრული.

გამეორებითი კითხვის მეთოდის/აქტივობის ამგვარი ფორმით გამოყენებამ ხელი შეუწყო მოსწავლეებში:

- კითხვის სიჩქარის ზრდას;
- უშეცდომოდ კითხვის უნარის გაუმჯობესებას (სიტყვების, ფრაზების);
- სათანადო ინტონაციით კითხვის უნარს;
- ყურადღების კონცენტრირების უნარს;
- კითხვის პროგრესის თვითმონიტორინგის საწყის უნარს;
- მშობლის ჩართულობას შვილის კითხვის უნარის გასაუმჯობესებელი მუშაობის პროცესში.

4. კითხვის მატარებელი

„კითხვის მატარებელი“ ძალზედ სახალისო და ეფექტური მეთოდი გამოდგა. კითხვის ამ სტრატეგიას თითქმის ყოველდღე ვიყენებდი და ბავშვებს არასდროს მოხეზრებიათ. სტრატეგიის გამოყენებისას მასში შევიტანე პატარა ცვლილებები, კერძოდ, იმისათვის, რომ დრო მომეგო და მოსწავლეები კითხვის დროს წიგნებთან უფრო მოხერხებულად და კომფორტულად მსხდარიყვნენ, ერთ ან ორ რიგად დგომას ტექსტით ხელში ვამჯობინე საკლასო ოთახში ჩვეულებრივი წესით წყვილებად მსხდარიყვნენ. მოსწავლეები არა მატარებლის, არამედ მატარებლის მგზავრების როლში გამოვიყვანე. ისინი რიგითობის დაცვით იწყებდნენ ერთი და იგივე ტექსტის კითხვას, მასწავლებლის ერთ ტაშზე კითხვას აგრძელებდა მომდევნო მოსწავლე, ხოლო ორ ტაშზე „ჩადიოდა“ მატარებლიდან, თუ კითხვისას შეცდომას დაუშვებდა, ვერ გააგრძელებდა კითხვას ან სასვენ ნიშანთან არ გააკეთებდა პაუზას. ზოგჯერ, დროის სიმცირის გამო, კითხვის პროცესი ტექსტის დასრულებამდე გრძელდებოდა, ხან გამეორებითაც კითხულობდნენ ტექსტს. კითხვის დასრულებისას მატარებელში რჩებოდნენ მკითხველები, რომლებიც უშეცდომოდ კითხულობდნენ, კითხვისას სასვენ ნიშნებს ითვალისწინებდნენ და ყურადღებით იყვნენ, სწორად რომ გაეგრძელებინათ კითხვა. კითხვის დასრულებისას მოსწავლეები იღებდნენ განმავითარებელ კომენტარებს, აფასებდნენ საკუთარ თავს, რა გამოუვიდათ კარგად, რა არა. ხშირად ავსებდნენ გამართული კითხვის თვითშეფასების სქემას (დანართი 7). ამ მეთოდის ხშირად გამოყენება მოსწავლეებში ხელს უწყობს შემდეგი უნარების გაუმჯობესებას:

- უშეცდომოდ კითხვის უნარი;
- ყურადღების კონცენტრირების უნარი;
- მოსმენის უნარი;
- სასვენი ნიშნების გათვალისწინებით კითხვის უნარი;
- თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარები.

5. როლური კითხვა

იმის გათვალისწინებით, რომ დიაგნოსტიკური ტესტირების შედეგად მოსწავლეებმა ინტონაციით კითხვის ასპექტში სხვა ასპექტებთან შედარებით უფრო დაბალი შედეგები აჩვენეს, როლურ კითხვას განსაკუთრებული სიხშირით ვიცენებდი. თითქმის ყოველ გაკვეთილზე გამოვყოფდი დროს იმისათვის, რომ მოსწავლეებს წყვილებში ან ჯგუფში ევარჯიშათ დიალოგური ტიპის ეპიზოდის როლურად წაკითხვაში. დიალოგის მოდელირების ან ჩემ მიერ ნიმუშის სახით წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები წყვილში ჯერ დამოუკიდებლად, შემდეგ როლურად კითხულობდნენ დიალოგს. თუ დიალოგი ორზე მეტ მოსაუბრეს მოიცავდა, მოსწავლეებს შესაბამისად ვაჯგუფებდი. კითხვისათვის მიცემული დროის ამოწურვის შემდეგ მსურველი წყვილები კლასის წინაშე წარდგებოდნენ. მოსწავლეებს ვაძლევდი განმავითარებელ კომენტარებს, ისინი ასახელებდნენ წყვილებს, რომელთა წაკითხულიც მოეწონათ. მოსწავლეები ავსებდნენ გამომეტყველებითი კითხვის თვითშეფასების სქემას (დანართი 8) .

მოვაწყეთ „მკითხველთა თეატრი“-ც. „მკითხველთა თეატრისათვის“ ტექსტი ავიღე მეთოდოლოგიური რესურსკრებულიდან სათაურით - „ჯეკი და ჯადოსნური ცერცვის ხე“. ტექსტი კლასში დავამუშავეთ სამფაზიანი მოდელის გამოყენებით. მას შემდეგ, რაც მოსწავლეებმა გაიაზრეს ტექსტი, მოისმინეს, თუ როგორ უნდა გადმოსცენ თითოეული პერსონაჟის სათქმელი, გავუნაწილე როლები და დავურიგე შესაბამისი ტექსტები მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით. მოსწავლეებს ვთხოვე, შინ დაემუშავებინათ და მოემზადებინათ როლები ინტონაციებისა და ჟესტების გამოყენებით, შევთავაზე, ეზრუნათ საკუთარი პერსონაჟისათვის სახასიათო, მარტივი რეკვიზიტის დამზადებაზეც. ორი დღის შემდეგ მოსწავლეებმა წარმოადგინეს „მკითხველთა თეატრი“. აქტივობის შემდეგ გავმართეთ შემაჯამებელი დისკუსია, შევავსეთ წარმოდგენა. ჩემი შეკითხვების დახმარებით მოსწავლეებმა იმსჯელეს საკუთარი როლის შესახებ, ძლიერ და გასაუმჯობესებელ ასპექტებზე, დაასახელეს როლის საუკეთესოდ შემსრულებლები.

აღნიშნული მეთოდის გამოყენებით ხელი შეეწყო შემდეგი უნარების გაუმჯობესებას:

- გამართულად (გაბმულად, სწრაფად, უშეცდომოდ, ინტონაციით) კითხვის უნარი;
- მოსმენისა და მეტყველების უნარი;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი;
- სოციალური, თანამშრომლობითი და ინტერპერსონალური უნარები;

- თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარი.

6. დახმარებით (სკაფოლდინგით) კითხვა.

ამ მეთოდს/აქტივობას ვიყენებდი წყვილებში მუშაობის ფორმით. მოსწავლეებს ვაწვდილობდი იმგვარად, რომ მათგან ერთ-ერთი კარგი მკითხველი ყოფილიყო და შესძლებოდა მეწყვილისათვის კითხვის დროს შეცდომების გასწორება და სწორად გამეორებინება. წასაკითხად შერჩეული იყო ნაცნობი ტექსტი, რათა დამხმარე მეწყვილეს არ გასჭირვებოდა მეწყვილისათვის შეცდომების გასწორება. ამგვარი კითხვის დროს ორივე მეწყვილე დიდი ყურადღებითა და დაკვირვებით ადევნებს თვალს წასაკითხ ტექსტს, დამხმარე ცდილობს, არ გამოეპაროს კითხვის დროს მეწყვილის მიერ დაშვებული შეცდომა, მკითხველი კი ცდილობს უშეცდომოდ წაიკითხოს ტექსტი. ამ აქტივობის მიმდინარეობის დროს თვითონაც ვირჩევდი საჭიროებისამებრ, თავად ვისი „დამხმარე“ უნდა ვყოფილიყავი და ვუსმენდი მკითხველს, თან თვალყურს ვადევნებდი კლასში მუშაობის პროცესს. ასე რომ, ამ აქტივობის მეშვეობით განსაკუთრებულად არის გააქტიურებული ყურადღების კონცენტრირების უნარი და ეხმარება მოსწავლეებს, დახვეწონ უშეცდომოდ კითხვის ასპექტი. კითხვის დასრულების შემდეგ მოსწავლეები საუბრობდნენ, თუ რა შეცდომები დაუშვეს კითხვის დროს, როგორ გაასწორეს. სტრატეგიის დაუფლების შემდეგ მოსწავლეებს შევთავაზე, დახმარებით კითხვის აქტივობა შინ, მშობელთან ან უფროს და-ძმასთან ერთად განეხორციელებინათ.

7. გაწაფული კითხვის კონკურსი

პერიოდულად მივმართავდი კითხვის ტესტირებას - წუთში სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობის განსაზღვრა. ამ პროცესში ხალისით იყო ჩართული ყველა მოსწავლე, რადგან ისინი ყოველი ტესტირების შემდეგ ადგენდნენ საკუთარ პროგრესს და ნაკლოვანებებსაც, რაც უფრო დიდ სტიმულს აძლევდა მათ მეტი ძალისხმევა გამოეჩინათ შედეგების გასაუმჯობესებლად. ჩემი მიზანი კი იყო, დროულად შემეფასებინა კითხვის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები, რათა შესაბამისად დამეგეგმა და ეფექტურად წარმემართა ჩემი შემდგომი მუშაობა გაწაფული კითხვის გაუმჯობესების კუთხით. მოსწავლეთა ნაწილს სურვილი გაუჩნდა, დედის დახმარებით, შინ, მიემართა მსგავსი პროცესისათვის. ისინი ხალისით მიაშობდნენ მეორე დღეს, თუ რამდენი სიტყვა წაიკითხეს წუთში ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთიდან. მასწავლებლის შექება მათ მოტივაციას კიდევ უფრო ზრდიდა. კვლევის დასასრულს კი გაწაფული კითხვის გაუმჯობესებისათვის

გამოჩენილი ძალისხმევით მოსწავლეებს დაურიგდათ ქების სიგელები (დანართი 11).

8. მშობლებთან თანამშრომლობა

კარგი შედეგი მომცა მშობლებთან აქტიურმა თანამშრომლობამ. მათ დროდადრო ვაწვდიდი ინფორმაციებს კითხვის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მუშაობის, ამ კუთხით მიღწეული შედეგების შესახებ. ასევე ვაძლევდი რეკომენდაციებს, როგორ შეექმნათ შვილებისათვის ოჯახური წიგნიერი გარემო, როგორ დახმარებოდნენ შვილებს კითხვის უნარის გაუმჯობესებაში. ამ მიზნით ვასწავლიდი სტრატეგიებს, რომლებიც კითხვის უნარის დასახვეწად შვილებთან თანამშრომლობის საშუალებას მისცემდათ. მაგ. როგორიცაა „დახმარებით კითხვა“, „გამეორებით კითხვა“, წუთში სწორად წაკითხულ სიტყვათა რაოდენობის განსაზღვრა და სხვა.

9. „მე მიყვარს კითხვა“ - თანამშრომლობა საკლასო და სკოლის ბიბლიოთეკასთან

კლასში წიგნიერი გარემოს შექმნის, კითხვის მიმართ მოტივაციის ამაღლების, კითხვაში ვარჯიშის, ლექსიკური მარაგის გამდიდრების მიზნით მოსწავლეებს შევთავაზე მოგვეწყო საკლასო ბიბლიოთეკა. მათ მოიტანეს პატარა საბავშვო წიგნები, ჟურნალები, რომლებიც მოვათავსეთ ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილ ადგილზე. მოსწავლეებს შეეძლოთ თავისუფალ დროს ესარგებლათ საკლასო ბიბლიოთეკით და წაეკითხათ მათთვის საინტერესო მოთხრობა, ზღაპარი ან ჟურნალი. კითხვაში გაწაფული მოსწავლეები ხმამაღლა უკითხავდნენ ამხანაგებს სასურველ მოთხრობას ან ზღაპარს პატარა ჯგუფებში ან წყვილში. წინასწარ ვიყავით შეთანხმებული, რომ მოსწავლეები უნდა გაფრთხილებოდნენ წიგნებს და არ დაეზიანებინათ.

ვცდილობდი, წამეხალისებინა და გამეაქტიურებინა მოსწავლეთა სასკოლო ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობა. ამ მიზნით კვირაში ერთხელ გვქონდა გამოყოფილი დრო, რათა გავსაუბრებოდი მოსწავლეებს კვირის განმავლობაში წაკითხული კლასგარეშე ლიტერატურის შესახებ. კვირის განმავლობაში წაკითხული ლიტერატურის ჩამონათვალი მათ შეტანილი ჰქონდათ ამისათვის განკუთვნილ რეგულში სათაურისა და ავტორის მითითებით. მოსწავლეები კლასს უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს წაკითხულის შესახებ, რის შემდეგაც ზოგიერთს უჩნდებოდა სურვილი, თვითონაც წაეკითხა

ამხანაგის მიერ წაკითხული მოთხრობა. მეც და ბიბლიოთეკარიც ვეხმარებოდით მოსწავლეებს მათი ასაკის, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით შეგვეჩერია მათთვის წასაკითხი ლიტერატურა. შედეგმაც არ დააყოვნა და სასწავლო წლის ბოლოს სკოლამ სიგელით დააჯილდოვა მესამე კლასელები ბიბლიოთეკასთან აქტიური თანამშრომლობისათვის (დანართი 12).

ინტერვენციების შედეგები და ანალიზი

განხორციელებული ინტერვენციების შემდეგ საჭირო გახდა დამედგინა და შემეფასებინა, თუ რამდენად ეფექტური და შედეგიანი იყო ის ქმედებები, რომლებიც გაწაფული კითხვის კომპეტენციის გასაუმჯობესებლად დავგეგმე მესამე კლასელებთან. კერძოდ, პასუხი უნდა გამეცა შემდეგ კითხვებზე:


- რამდენად სწორად დავგეგმე პრობლემის მოსაგვარებელი ინტერვენციები;
- კონკრეტულად როგორ შეიცვალა მდგომარეობა კვლევის შედეგად;
- გაუმჯობესდა თუ არა გაწაფული კითხვის კომპეტენციის უნარები მესამე კლასელებთან;
- რა ხარვეზები აღმოვაჩინე კვლევის მიმდინარეობისას;
- როგორ ვფიქრობ მათ მოგვარებას სამომავლოდ.

კვლევის დასასრულს მოსწავლეებთან ჩავატარე პოსტტესტირება:

1. კვლევის დასაწყისში გამოყენებული ტექსტის წაკითხვის ტესტი (დანართი 1);
2. სხვა, ახალი ტექსტის წაკითხვის ტესტი (დანართი 2).

ჩემი მიზანი იყო, ტესტირების შედეგად თავდაპირველად და ბოლოს მიღწეული შედეგების შედარების საფუძველზე დამედგინა, როგორ შეიცვალა გაწაფული კითხვის კომპეტენციის მდგომარეობა მესამე კლასელებთან. შესაბამისად, პირველადი და საბოლოო მონაცემები წარმოვადგინე სვეტოვანი დიაგრამის სახით შემდეგნაირად:

ტექსტის წაკითხვის ტესტის შედეგები წუთში სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობის მიხედვით (წსწს)



20 მოსწავლეზე პირველადი ტესტირების შედეგად ერთ წუთში სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობა განისაზღვრა შემდეგნაირად:

- ✓ მაღალი მაჩვენებელი - 60-80 წსწს (7 მოსწავლე);
- ✓ საშუალო მაჩვენებელი - 46-55 წსწს (9 მოსწავლე);
- ✓ დაბალი მაჩვენებელი - 22-38 წსწს (4 მოსწავლე, აქედან ერთი-სსსმ).

იგივე ტექსტით ბოლო ტესტირების შედეგად წსწს განისაზღვრა შემდეგნაირად:

- ✓ მაღალი მაჩვენებელი - 61-100 წსწს (18 მოსწავლე);
- ✓ საშუალო მაჩვენებელი - 49 წსწს (1 მოსწავლე);
- ✓ დაბალი მაჩვენებელი - 35 წსწს (1 მოსწავლე-სსსმ).



სხვა ტექსტით ბოლო ტესტირების შედეგად კი წსწს განისაზღვრა შემდეგნაირად:

- ✓ მაღალი მაჩვენებელი - 61-97 წსწს (18 მოსწავლე);
- ✓ საშუალო მაჩვენებელი - 43 წსწს (1 მოსწავლე);
- ✓ დაბალი მაჩვენებელი - 35 წსწს (1 მოსწავლე-სსსმ).

საბოლოო ტესტირების შედეგების მიხედვით სამმა მოსწავლემ დაბალი მაჩვენებლიდან აიწია მაღალ მაჩვენებელზე, ხოლო ერთმა (სსსმ)- აიწია საშუალო მაჩვენებელზე. საშუალო მაჩვენებლის მქონე ყველა მოსწავლემ, ერთის გარდა, აიწია მაღალ საფეხურზე. საშუალო მაჩვენებლის მქონე ერთმა მოსწავლემ იგივე ტექსტზე ჩატარებული ტესტირების შემთხვევაში შედეგი არ

გააუმჯობესა, ხოლო სხვა ტექსტზე ჩატარებული ტესტირების შემთხვევაში შედეგი ოდნავ გააუარესა.

ინტონაციითა და სასვენი ნიშნების გათვალისწინებით კითხვის პირველადი და საბოლოო ტესტირების შედეგები სვეტოვანი დიაგრამის სახით ასე გამოიყურება:



როგორც დიაგრამებიდან ჩანს, მოსწავლეებს უფრო მეტად გაუჭირდათ ინტონაციით კითხვა, ვიდრე სასვენი ნიშნების გათვალისწინებით. ვფიქრობ, ამის მიზეზი არის ის, რომ ინტონაციით კითხვა კითხვაში მეტად გაწაფულობას და გააზრებას მოითხოვს, მათ კი კითხვის დროს მეტი ყურადღება გადააქვთ

კითხვის ტემპზე და სიტყვების სწორად წაკითხვაზე, თუმცა ინტონაციით კითხვა 6-მა მოსწავლემ გააუმჯობესა, ერთმა გააუარესა, ხოლო ერთმა(სსსმ) იგივე შედეგი აჩვენა. ინტონაციით კითხვის გაუმჯობესება ამ ასპექტისათვის განკუთვნილმა აქტივობებმა გამოიწვია (როლური კითხვა წყვილებში მოდელირებისა და საჩვენებელი კითხვის დახმარებით, მკითხველთა თეატრი, კითხვის მატარებელი და სხვა), მოსწავლეებს გაცნობიერებული ჰქონდათ ის, რომ ამ ასპექტში პირველადი ტესტირების შედეგად მათ დაბალი შედეგები აჩვენეს და საჭირო იყო ამ შედეგების გაუმჯობესება, მათი ენთუზიაზმი დიდი სტიმული იყო უკეთესი შედეგების მიღწევისათვის. კვლევის პროცესში მშობლების ჩართულობამაც დიდი როლი ითამაშა შედეგების გაუმჯობესებაში.

კვლევის დასრულების შემდეგ დამაინტერესა, გამეგო მოსწავლეთა მოსაზრებები კითხვის უნარების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, რამდენად კმაყოფილნი იყვნენ მიღწეული შედეგებით და გაუჩნდათ თუ არა მეტი სურვილი კლასგარეშე ლიტერატურის კითხვისა. მოვისმინე მშობელთა შეფასებები იმის შესახებ, თუ რამდენად შედეგიანი იყო შვილებთან მათი თანამშრომლობა ჩემ მიერ შეთავაზებული სტრატეგიების გამოყენებით.

თვითკრიტიკის მიზნით შემიძლია ვთქვა, რომ შეიძლებოდა უკეთესი შედეგების მიღწევა, თუ მეტი ინტენსივობით გამოვიყენებდი სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომას, კერძოდ, შინაგანი დიფერენციაციის ტიპს, როცა სასწავლო პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები. მაგალითისათვის შემიძლია დავასახელო მესამე კლასის ის მოსწავლე, რომელმაც შედეგები ვერ გააუმჯობესა. შესაძლებელია, ამის მიზეზი იყო მისი დაკომპლექსება ან დაბალი თვითშეფასება კითხვაში არსებული ხარვეზების გამო. ვფიქრობ, მსგავს სიტუაციაში მოსწავლეებს მეტი თვითდაჯერებულობა და საკუთარი ძალებისადმი რწმენა უნდა შევმატო და მოვუფიქრო მოტივაციის ასამაღლებელი აქტივობები.

მიჩნდება კითხვა იმის შესახებაც, რომ გაწაფული კითხვის უნარების გაუმჯობესებაზე წარმართულმა მუშაობამ ხომ არ შეანელა კითხვის მთავარ დანიშნულებაზე -გაგება-გააზრებაზე ზრუნვა, ამიტომ ჩემი მუშაობის შემდგომ ამოცანად დავსახე: **როგორ იაზრებენ ჩემი მოსწავლეები წაკითხულს გამართული/გაწაფული კითხვის დროს?**

კვლევის მიგნებები

ჩემ მიერ განხორციელებულმა პედაგოგიური პრაქტიკის კვლევამ „როგორ გავაუმჯობესოთ გაწაფული/გამართული კითხვის კომპეტენცია წმინდა გიორგის სახელობის მესამე კლასში“ საკმაო გამოცდილება შემძინა. კერძოდ, დავრწმუნდი, რომ მოსწავლის გაწაფულ მკითხველად ჩამოყალიბების პროცესი საკმაოდ რთული და სისტემატურია, იგი ეფუძნება ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა:

- განხორციელდეს უწყვეტად მოსწავლის პროგრესის მონიტორინგი და შეფასდეს;
- სწავლების პროცესში გამოყენებული იქნას დიფერენცირებული მიდგომა, მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებზე გათვლილი სწავლება;
- სწავლების პროცესში გამოყენებული იქნას მოსწავლის, მასწავლებლის და მშობლის ურთიერთთანამშრომლობა;
- ხელი შეეწყოს მოსწავლისათვის წიგნიერი გარემოს შექმნას სკოლასა თუ სახლში.

რეკომენდაციები

კვლევის პროცესში გამოყენებულმა სხვადასხვა აქტივობებმა თუ მეთოდებმა შესაძლებელი გახადა, მოსწავლეებს ძირითადად გაეუმჯობესებინათ გაწაფული/გამართული კითხვის უნარები. მოსწავლის კარგ მკითხველად ჩამოყალიბება უწყვეტი პროცესია დაწყებით საფეხურზე. კითხვის გაწაფულობა/გამართულობა მისი ერთ-ერთი კომპონენტია და მის გაუმჯობესებაზე ზრუნვისას, ვფიქრობ, ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს კითხვის მთავარი ამოცანა - გაგება-გააზრება, რადგან გაწაფული კითხვა არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვმა წაკითხული გაიაზრა. ჩემი რეკომენდაციები კოლეგებისათვის ასეთია:

- კითხვის ეფექტური სწავლებისათვის მოსწავლეთა პროგრესის რეგულარული ინდივიდუალური მონიტორინგის განხორციელების პროცესში ყოველთვის გათვალისწინებული იქნას გაგება-გააზრების კომპონენტი, როგორც კითხვის მთავარი დანიშნულება.
- კითხვის სწავლების პროცესში და საერთოდ, სწავლების პროცესში მეტად მნიშვნელოვანია გამოვიყენოთ დიფერენცირებული მიდგომა;
- გავითვალისწინოთ თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები/მზაობა და შევთავაზოთ მოსწავლეებს ადეკვატური დახმარებები შედეგების გასაუმჯობესებლად;

- გაკვეთილების დაგეგმვისას გავითვალისწინოთ ისეთი აქტივობები, რომელთა დახმარებით მოსწავლეები ინტერესით და ხალისით ჩაერთვებიან კითხვის პროცესში;
- კითხვის სწავლების პროცესში გამოვიყენოთ მოსწავლეთა და მშობელთა ურთიერთთანამშრომლობა;
- გავაცნოთ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს კითხვის ეფექტური სტრატეგიები, რაც დაეხმარებათ კითხვის პროცესში ურთიერთთანამშრომლობაში.
- მოსწავლეებიც და მშობლებიც ყოველთვის ინფორმირებულნი უნდა იყვნენ მიღწეული შედეგების შესახებ;
- კითხვის გაუმჯობესებისა და ძალისხმევის გამოჩენის შემთხვევაში გამოყენებული იქნას წამახალისებელი საშუალებები.

დასკვნა

მიმდინარე სასწავლო წელს განვახორციელე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიის მესამე კლასში, რომლის მიზანი იყო მოსწავლეებში გამეუმჯობესებინა გაწაფული/გამართული კითხვის უნარები. ამ მიზნით ჩავატარე მოსწავლეებთან დიაგნოსტიკური ტესტირება ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის მიზნით, გავაანალიზე კვლევისათვის შეგროვებული მონაცემები, მოვიძიე, გავეცანი და დავამუშავე კვლევის მიზნის შესაბამისი ლიტერატურა, შევარჩიე კვლევის განხორციელებისათვის საჭირო მეთოდები, დავგეგმე საჭირო ინტერვენციები, რომლებიც დამეხმარებოდა მიზნის მიღწევაში. გაწაფული/გამართული კითხვის გასაუმჯობესებლად დავგეგმე მრავალფეროვანი აქტივობები/მეთოდები და დავიწყე მათი განხორციელება. კვლევის ბოლოს შედეგების შემოწმების მიზნით ჩავატარე განმეორებითი სადიაგნოსტიკო ტესტირება. მეორადი შედეგების გაანალიზების შემდეგ გამოვკვეთე რამდენიმე მიგნება, შევიმუშავე რეკომენდაციები, რომლებსაც გავითვალისწინებ შემდგომი მუშაობისას. კვლევის შედეგების გაცნობა, ვფიქრობ, სასარგებლო იქნება ჩემი კოლეგებისთვისაც.

დანართები

დანართი 1

ტექსტის წაკითხვის ტესტი
მასწავლებლის ფურცელი

მოსწავლე:
მასწავლებელი:

კლასი:
თარიღი:

ჭიანჭველა და ფუტკარი იდგა გაზაფხული. მინდორში ფერადი ყვავილები ამოსულიყო. ირგვლივ საოცარი სურნელი ტრიალებდა. ერთმა ჭიანჭველამ ღამაში ყვავილი იპოვა. ჯერ ღეროზე აცოცდა, შემდეგ გულში ჩაცოცდა და საქმეს შეუდგა. ამასობაში ფუტკარიც მოფრინდა. ჭიანჭველას არ ესიამოვნა მისი დანახვა. – თავი ნუ ამატკივე ამდენი ბზუილით! მე შენზე ნაკლებს არ ვშრომობ, მაგრამ ქვეყანას არ ვაყრუებ ტრაბახით! – შეუტია ჭიანჭველამ ფუტკარს. თაფლის ოსტატს გაეცინა, ოდნავადაც არ გაბრაზებულა. – რა ვქნა, ძმაო! შენ თუ მუშაობ, მხოლოდ შენი თავისთვის, მე კი ჩემი შრომით ჩემს თავსაც ვადგები და ხალხსაც. ტრაბახი კი გულშიც არ გამივლია, ღმერთმა ასეთი ბზუილა გამაჩინა, – მშვიდად მიუგო ფუტკარმა და სხვა ყვავილისკენ გაფრინდა.	5 10 17 24 29 32 40 47 53 56 64 73 80 83 89 90
წაკითხული სიტყვების რაოდენობა:—, შეცდომების რაოდენობა:—. ერთ წუთში სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობა: ——— .	

- კითხულობდა თუ არა მოსწავლე სასვენი ნიშნების გათვალისწინებით?
 - კი
 - არა
- კითხულობდა თუ არა მოსწავლე ინტონაციით?
 - კი
 - არა

დანართი 2

კლასი III; კითხვის ღონე – 3.1; ტექსტის ტიპი – მხატვრული (თხრობითი).

ტექსტის წაკითხვის ტესტი მასწავლებლის ფურცელი

მოსწავლე:
მასწავლებელი:

კლასი:
თარიღი:

ბაბუაწვერა	4
მინდორში ცხოვრობდა პატარა ბაბუაწვერა. ბაბუაწვერა	10
ძალიან მოუსვენარი იყო. სულ თამაში უნდოდა! ხან პეპელას	16
შეუღიტიებდა, ხან ბზიკებს აბრაზებდა. მაგრამ ბოლოს ისინი	21
სადღაც მიფრინავდნენ. პატარა ბაბუაწვერა სულ მარტო რჩებოდა.	26
ერთ დღეს ბაბუაწვერამ გადაწყვიტა, ფრენა ესწავლა და	32
მეგობრებთან გაფრენილიყო. მაგრამ ფესვებით მიწაზე იყო	37
დაბმული და არ იცოდა, რა ექნა. ამ დროს ბზიკი მოფრინდა.	45
– გამარჯობა, ბაბუაწვერა! რაზე მოგიწყენია? – ჰკითხა ბზიკმა.	50
– ფრენა მინდა და არ გამოძის. მითხარი, როგორ დაფრინავ? –	55
ჰკითხა ბაბუაწვერამ.	56
– ფრენას რა უნდა? ფრთები უნდა იქნო და თან იბზუილო! აი,	63
ასე: ბზზზზზზზზზზზზზზზზზ! – აზუზუნდა ბზიკი. ბაბუაწვერამ	66
სცადა, მაგრამ ვერ გაფრინდა. მას ხომ ფრთები არ ჰქონდა? არც	74
ბზუილი შეეძლო. თან მიწაზე იყო დაბმული.	79
	86
	94
	97
წაკითხული სიტყვების რაოდენობა—, ,	
შეცდომების რაოდენობა: — ,	
ერთ წუთში სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობა: ————	

- კითხულობდა თუ არა მოსწავლე სასვენი ნიშნების გათვალისწინებით?
 - კი
 - არა
- კითხულობდა თუ არა მოსწავლე ინტონაციით?
 - კი
 - არა

დანართი 3

ანკეტა (წერილობითი)

ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიის დაწყებითი
საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისათვის

ძვირფასო კოლეგებო! ვატარებ პრაქტიკულ კვლევას ჩვენი გიმნაზიის წმ.
გიორგის სახელობის მესამე კლასთან თემაზე: **გაწაფული კითხვის კომპეტენციის
გაუმჯობესება მესამე კლასელებთან.** თქვენი აზრი ამ კუთხით ჩემთვის
ღირებული და მნიშვნელოვანია.

- ❖ დაწერეთ ორი კითხვა, რომელსაც დაუსვამდით კოლეგას რჩევის
მიღების მიზნით გაწაფული/გამართული კითხვის კომპეტენციის
გაუმჯობესებისათვის მოსწავლეებთან.

1.-----

2.-----

- ❖ თქვენი აზრით, ძირითადად რას ითვალისწინებს გაწაფული/გამართული
კითხვა და რა მოთხოვნებს უყენებთ კარგ მკითხველს თქვენს კლასში?
(მიუთითეთ კლასი).

- ❖ გაწაფული/გამართული კითხვის რომელ ასპექტში/ასპექტებში აწყდებიან
ძირითადად თქვენი მოსწავლეები ყველაზე მეტად პრობლემებს
(პასუხი/პასუხები შემოხაზეთ):

ა) უშეცდომოდ კითხვა;

ბ) ასაკისათვის შესაფერისი ტემპით (ხმის ტონი, მახვილები, პაუზები,
ინტონაცია) კითხვა;

გ) გამომეტყველებით კითხვა;

დ) სასვენი ნიშნების გათვალისწინებით კითხვა;

- ❖ მოკლედ აღწერეთ მეთოდი/აქტივობა, რომელსაც ყველაზე ეფექტურად
თვლით გაწაფული კითხვის გაუმჯობესებისათვის თქვენს კლასში.

- ❖ დასახელეთ თქვენთვის ყველაზე ეფექტური აქტივობა, რომელსაც იყენებთ
გაწაფული კითხვის უნარის შემოწმება-შეფასებისათვის საკუთარ
მოსწავლეებთან?

- ❖ თქვენი აზრით, რა კავშირია გაწაფულ/გამართულ კითხვასა და
გაგება/გააზრებას შორის?

დანართი 4

კითხვარი მესამე კლასის მოსწავლეებისათვის (წერილობითი)

მოსწავლე

მასწავლებელი

- ❖ გიყვარს თუ არ წიგნის კითხვა და თუ კითხულობ ყოველდღე? რამდენ დროს უთმობ დღის განმავლობაში კითხვას? (პასუხი ჩაწერე) -----

- ❖ ვისთვის გინდა შთაბეჭდილებების გაზიარება წაკითხულის შესახებ?

- ❖ თუ გბეზრდება კითხვა და რატომ?

- ❖ შენი აზრით, როგორ უნდა მოიქცე, როცა კლასგარეშე საკითხავი შენთვის რთულია ან უინტერესო?

- ❖ შენი აზრით, როგორი ტემპით კითხულობ?
ა) ნელი ტემპით ბ) ჩქარი ტემპით გ) ნორმალური ტემპით
- ❖ რა სირთულეებს აწყდები კითხვის პროცესში? (შეგიძლია შემოხაზო რამდენიმე)
ა) მიჭირს ზოგიერთი სიტყვის ამოკითხვა;
ბ) შეცდომით ვკითხულობ ზოგიერთ სიტყვას;
გ) ყველა ტიპის წინადადებას ერთნაირად ვკითხულობ;
დ) ძალიან ნელა ვკითხულობ;
ე) სასვენ ნიშნებს არ ან ნაწილობრივ ვითვალისწინებ;
- ❖ მოგწონს თუ არა, როცა მეწყვილეს უკითხავ და მისგან რჩევებს იღებ?
ა) მომწონს, რადგან რჩევები მეხმარება კითხვის გაუმჯობესებაში;
ბ) მეწყვილის რჩევები მაღიზიანებს;
გ) მეტი მონდომებით და ყურადღებით ვკითხულობ;

დანართი 5

კითხვარი მშობლისათვის

ძვირფასო მშობლებო, გთხოვთ, დაუთმოთ რამდენიმე წუთი ამ კითხვარის შევსებას. ვფიქრობ, თქვენი გულახდილი პასუხები მნიშვნელოვანი იქნება პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის წარმოებისათვის, რომელიც ტარდება იმისათვის, რომ დავეხმაროთ მოსწავლეებს გამართული/გაწაფული კითხვის უნარის გაუმჯობესებაში.

1. რა სიხშირით კითხულობს თქვენი შვილი კლასგარეშე ლიტერატურას?
ა) ხშირად ბ) იშვიათად გ) არასდროს
2. თვლით თუ არა, რომ კლასგარეშე ლიტერატურის კითხვა დაეხმარება თქვენს შვილს გაწაფული კითხვის უნარის გაუმჯობესებაში?
ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ
3. ეხმარებით თუ არა თქვენს შვილს წასაკითხი ლიტერატურის შერჩევაში?
ა) დიახ ბ) არა გ) თვითონ არჩევს
4. თუ დაკვირვებით, რა პრობლემებს აწყდება თქვენი შვილი კითხვის პროცესში? (შეგიძლიათ შემოხაზოთ 1-ზე მეტი)
ა) შეცდომით კითხულობს ზოგიერთ სიტყვას;
ბ) ნელა კითხულობს ასაკთან შედარებით;
გ) სასვენ ნიშნებს არ ან ნაწილობრივ ითვალისწინებს;
დ) კითხულობს რობოტით, ინტონაციის გარეშე;
5. როგორ ეხმარებით თქვენს შვილს გამართული კითხვის უნარის დაუფლებაში? (პასუხი ჩაწერეთ)

6. რა ტიპის დახმარებას ისურვებდით პედაგოგისგან თქვენი შვილის კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად?

დანართი 6

ინტერვიუს კითხვები მასწავლებლებისათვის

- ❖ უჭირთ თუ არა თქვენს მოსწავლეებს გამართული/გაწაფული კითხვა და განსაკუთრებით ამ კომპეტენციის რომელ ასპექტებში?
- ❖ თქვენი აზრით, რა აფერხებს მოსწავლეებში გამართული-გაწაფული კითხვის უნარის გაუმჯობესებას?
- ❖ როგორ გესახებათ პრობლემის მოგვარების გზები ამ კუთხით?
- ❖ როგორ ფიქრობთ, გაწაფული კითხვის უნარის გაუმჯობესებაზე მარტო ქართულის მასწავლებლებმა უნდა იზრუნონ?
- ❖ რა ტიპის დახმარებას ისურვებდით კითხვის უნარის გაუმჯობესებისათვის სხვა საგნების მასწავლებლებისა და მშობლების მხრიდან?

დანართი 7

გაწაფული კითხვის თვითშეფასება (სიზუსტე, სიჩქარე, გამომსახველობით წაკითხვა)

კრიტერიუმები	დიახ	ნაწილობრივ	იშვიათად	არა
სწორად წავიკითხე სიტყვები?				
ყურადღებას ვაქცევდი სასვენ ნიშნებს?				
გაბმულად წავიკითხე?				
ზომიერი სისწრაფით წავიკითხე?				
ძალიან სწრაფად ან ძალიან ნელა ხომ არ ვკითხულობდი?				
ინტონაციით სწორად გადმოვეცი ტექსტში ასახული ემოციები?				
რობოტივით ხომ არ ვკითხულობდი?				
კითხვისას სწორად ვიყენებდი ჟესტსა და მიმიკას?				

დანართი 8

გამომეტყველებით წაკითხვა. (თვითშეფასება)

მოსწავლე :

მე გამართულად ვკითხულობ. ვცვლი ინტონაციას და ხმის ტემბრს. ამიტომ წაკითხული საინტერესოდ ისმინება და აზრის გამოტანა ადვილია.

		
მოსაწყენად ვკითხულობ. არ ვცვლი ხმის ტემბრსა და ტონს.	ვცდილობ, წაკითხვა მონოტონური და მოსაწყენი არ იყოს. ზოგჯერ არასწორად ვიყენებ ინტონაციასა და ხმას.	მე გამომეტყველებით ვკითხულობ. ვცვლი ხმის ტემბრსა და ინტონაციას. სწორად ვაკეთებ პაუზებსა და მახვილებს. ჩემი წაკითხული საინტერესო და ემოციურია.

✓ შეაფასე შენი თავი და ჩასვი აღნიშვნა შესაბამის ცარიელ გრაფაში.

დანართი 9

გამეორებითი კითხვის ცხრილი (90 სიტყვიანი ეპიზოდისათვის)

მოსწავლე:


გამეორებით კითხვა	ეპიზოდის კითხვის ხანგრძლივობა (წამი)	შეცდომით წაკითხული სიტყვების რაოდენობა	სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობა	წაკითხვის დღე და რიცხვი
1-ლი ცდა (1-ჯერ წაკითხვის შემდეგ)				
მე-2 ცდა (2-ჯერ წაკითხვის შემდეგ)				
მე-3 ცდა(2-ჯერ წაკითხვის შემდეგ)				
ახალი ეპიზოდი				
1-ლი ცდა				
მე-2 ცდა				
მე-3 ცდა				
ახალი ეპიზოდი				
1-ლი ცდა				
მე-2 ცდა				
მე-3 ცდა				
ახალი ეპიზოდი				
1-ლი ცდა				
მე-2 ცდა				
მე-3 ცდა				
ახალი ეპიზოდი				
1-ლი ცდა				
მე-2 ცდა				
მე-3 ცდა				
ახალი ეპიზოდი				
1-ლი ცდა				
მე-2 ცდა				
მე-3 ცდა				

დანართი 10

გამეორებითი კითხვის თვითშეფასების სქემა

(მესამე ცდა - 90 სიტყვიანი ეპიზოდი)

ვკითხულობდი ნორმალური ტემპით (60 წმ-დან 70 წმ-მდე)	დიახ	ნაწილობრივ	არა
ვკითხულობდი უშეცდომოდ			
სასვენ ნიშნებთან ვჩერდებოდი			
ვკითხულობდი ინტონაციით			



წიგნი წოდების საუნჯეა



სიბეჭედი

ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზია
ა ჯ ი ლ დ ო ე ზ ს
ნმ. გიორგის სახელობის III კლასს, როგორც
გიმნაზიის პირობების აქტიურ მკითხველს.

ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის
გორის გიმნაზიის
ადმინისტრაცია

2019 წლის 14 ივნისი

გამოყენებული ლიტერატურა და მასალები

1. დ.უზნაძე, ბავშვის ფსიქოლოგია, თბილისი, 2005. <http://bit.ly/2WYAxgA>;
2. ინტერნეტგაზეთი, პრაქტიკული კვლევა სკოლაში, კვლევის ანგარიში, 2 აგვისტო, 2018 წ, აბულაძე თ, დოლიძე თ, კობოძე ნ, <http://bit.ly/2x7dVeP> ;
3. კუტალაძე ი. - წიგნიერება, PIRLS-2006 საქართველოში, გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2008 წ;
4. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი, ნაწილი მეორე, გვ. 61-88, <http://bit.ly/2IXnEda>;
5. როგორ წარვმართოთ პედ. პრაქტ. კვლევები, 3 მაისი, 2012 წ. სოფიკო ლობჯანიძე, <http://bit.ly/31K1cwJ>;
6. როგორ წარვმართოთ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, ეკა ცხადაია, 7 აგვისტო, 2014 წ, ნაწილი 1, ვიდეორესურსი, <http://bit.ly/2L6y8cL>;
7. როგორ წარვმართოთ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, ეკა ცხადაია, 10 აგვისტო, 2014 წ, ნაწილი 2, ვიდეორესურსი <http://bit.ly/2XlPau0>;
8. სასწავლო- მეთოდოლოგიური რესურსების კრებული, კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე, 1-6 კლასები, <http://bit.ly/2MYYAHO>;
9. ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტი, შესავალი, მუხლი 58, <http://bit.ly/2X0hUo0>.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგების გაზიარების რეფლექსია

ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიის წმ. გიორგის სახელობის მესამე კლასში ჩავატარე საუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა თემაზე: „გაწაფული/გამართული კითხვის კომპეტენციის გაუმჯობესება წმ. გიორგის სახელობის მესამე კლასში“. კვლევა ხორციელდებოდა 2018-2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრის (თებერვალი-ივნისი) განმავლობაში.

კვლევის მიზანი იყო: „განვსაზღვრო მესამე კლასელთა კითხვაში გაწაფულობის კომპონენტში პრობლემების მიზეზები და დავსახო მათი მოგვარების გზები“.

კვლევის ამოცანები:

- დავაკვირდე თითოეული მოსწავლის კითხვის ხარისხს მლიერი და სუსტი მხარეების დადგენის მიზნით;
- გავეცნო გაწაფული/გამართული კითხვის გასაუმჯობესებელ ეფექტურ სტრატეგიებს და მოვარგო ისინი მოსწავლეთა საჭიროებებს;
- გავითვალისწინო მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და დავეხმარო მათ გამართული კითხვის უნარების გაუმჯობესებაში კითხვაში გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით;
- ეფექტურად დავგეგმო შემდგომი სასწავლო პროცესი და გავაუმჯობესო ჩემი პედაგოგიური პრაქტიკა;
- ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები გავუზიარო კოლეგებს.

მოვახდინე მოსწავლეთა, მშობელთა და კოლეგების გამოკითხვა წინასწარ შედგენილი კითხვარების (ზეპირი და წერილობითი) მიხედვით. მოსწავლეებს ჩავუტარე ტექსტის წაკითხვის პირველადი და ბოლო დიაგნოსტიკური ტესტირება. მონაცემები კვლევის ანგარიშში წარმოვადგინე პროცენტული დიაგრამების სახით. ტესტირების პირველადი და საბოლოო მონაცემების შედარებისა და გაანალიზების შედეგად გამოვლინდა, რომ მოსწავლეებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს (ერთის გარდა) გაწაფული კითხვის უნარები, რაშიც დამეხმარა კვლევის პროცესში გამოყენებული მრავალფეროვანი, მიზნობრივად შერჩეული მეთოდები/აქტივობები.

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები გავუზიარე კოლეგებს PowerPoint-ში მომზადებული პრეზენტაციის მეშვეობით. კოლეგებს ვესაუბრე კვლევის პროცესში მოსწავლეებთან გამოყენებული იმ აქტივობების/მეთოდების შესახებ, რომლებმაც შედეგების გაუმჯობესება გამოიწვია. ასევე გავუზიარე, თუ

რამდენად შედეგიანი იყო მშობელთა ჩართვა მოსწავლეთა კითხვის უნარების დახვეწის პროცესში კითხვის ეფექტური სტრატეგიების კლასში მოდელირებისა და მშობელთათვის ამ სტრატეგიების გაცნობის გზით. კოლეგებს ასევე ვესაუბრე, გაწაფული კითხვის დაუფლების პროცესში რამდენად ეფექტური იყო სწავლების დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება. ერთ-ერთმა კოლეგამ კი აღნიშნა, რომ „გამეორებითი კითხვის“ მეთოდს საკუთარ შვილთანაც მოსინჯავდა. ყველა პედაგოგი ერთხმად შეთანხმდა, რომ კითხვის უნარების გაუმჯობესებაზე ზრუნვა აუცილებელია და ყველა საგნის მასწავლებლისთვის ძალზედ სასარგებლო იქნება, რადგან კითხვის გაუწაფავობა საგრძნობლად აფერხებს მასალის გაგება-გააზრების პროცესს.

კოლეგების მხრიდან წამოსულ დადებით უკუკავშირთან ერთად მივიღე რჩევა კვლევის პროცესში ჩემ მიერ განხორციელებული ერთ-ერთი აქტივობის „კითხვის კონკურსთან“ დაკავშირებით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ფრთხილად უნდა მოვეკიდო შეჯიბრის ფენომენს, რამაც შეიძლება მოსწავლეებში გამოიწვიოს დაპირისპირება და დამაბულობა. რჩევას აუცილებლად გავითვალისწინებ.

ჩემ მიერ განხორციელებული კვლევის ანგარიში განვათავსე სოციალურ ქსელში „დაწყებითი კლასის პედაგოგთა ჯგუფის“ გვერდზე (<https://www.facebook.com/groups/221435324681527/>) და ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიის ვებ-გვერდზე (<http://gmgimnazia.ge/index.php/ka/2018-09-14-12-54-14/2018-12-24-13-17-57>).

ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის
გიმნაზიის დაწყებითი საფეხურის
ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი
ნონა გამსახურდაშვილი